სპორტი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 2 სექტემბერი 2008 №201 (3425) ფასი 50 თეთრი

ნუ ეპუტინებით ქართულ მიწებს!

1 სექტემბერი საქართველოს ერთიანობის დღეა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ყენია და ლევან მჭედლიძე უკვე ნაკრებთან ერთად არიან



ბადრი კვირიკაძის ფოტოები

კუპერმა დილას საღამო მიაბა

გერმანულ მაინცში მყოფი საქართველოს ეროვნული ნაკრები ნელ-ნელა ივსება. გუშინწინ გერმანიაში ჩასულ 12 ნაკრებელს გუშინ 6 ფეხბურთელი შეუერთდა — „შალკეს" ნახევარმცველები, ლევან კობიაშვილი და ლევან ყენია, „კარლსრუეს" შემტევი ალექსანდრე იაშვილი, „მიუნხენ 1860"-ის მცველი მათე ღვინიანიძე, „ვენტსპილსის" ნახევარმცველი ზურაბ მენთეშაშვილი და „შტურმის" მცველი გიორგი შაშიაშვილი.

ამგვარად, ექტორ რაულ კუპერმა გუშინ უკვე 18 ფეხბურთელი ავარჯიშა, დღეიდან კი მას სრული შემადგენლობა ეყოლება.

გუშინ არგენტინელმა სპეციალისტმა ორჯერ ავარჯიშა შეგირდები — დილით და საღამოს.

დილის ვარჯიში ფიზიკური კონდიციების გაუმჯობესებას დაეთმო, საღამოს კი გუნდმა ტაქტიკური მონახაზები დაამუშავა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის უფროს სანდრო ცნობილაძის თქმით, ფეხბურთელები თავს კარგად გრძნობენ და, საბედნიეროდ, ტრავმაც არავის აწუხებს.

კუპერის გადაწყვეტილებით, ნაკრები ირლანდიასთან 6 სექტემბრის ოფიციალურ მატჩამდე დღეში ორჯერად ვარჯიშებს გააგრძელებს — ამით არგენტინელ სპეციალისტს ფეხბურთელების შესაძლებლობეში უკეთ გარკვევა სურს. ის ხომ ჯერაც არ იცნობს მათ სრულყოფილად და იმედია, ამ ოთხ დღეში საკმარის ინფორმაციას დააგროვებს.

ბოლოს კი, ერთხელაც ჩამოთვალოთ ის ფეხბურთელები, რომლებსაც კუპერმა ნაკრებში უხმო — დღეიდან ეს გუნდი მოემზადება ირლანდიასთან სათამაშოდ:

მეკარეები: გიორგი ლორია, როინ კვასხვაძე, გიორგი მაკარიძე;

მცველები: უჩა ლობჟანიძე, ლაშა სალუქვაძე, მათე ღვინიანიძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ალექსანდრე კვახაძე, კახა კალაძე, მალხაზ ასათიანი, ზაალ ელიავა, გიორგი შაშიაშვილი;

ნახევარმცველები: ზურაბ მენთეშაშვილი, ლევან ხმალაძე, ლევან კობიაშვილი, დავით მუჯირი, გოგიტა გოგუა, დავით ოდიკაძე, ლევან ყენია, ირაკლი კლიმიაშვილი, დავით კვირკველია;

თავდამსხმელები: ალექსანდრე იაშვილი, ბექა გოცირიძე, ლევან მჭედლიძე, დავით სირაძე, რატი ალექსიძე.

ბაჩა შალამბერიძე

ბევრი ტრავმა და ერთი მიზანი

ახალგაზრდულს წინამძღვრიშვილი და ლიპარტია დაემატნენ

გ. კვირიკაძის ფოტო

საქართველოს ახალგაზრდულმა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩებისთვის მზადება დაიწყო. რა შეხსენება უნდა, რომ 5 სექტემბერს ქართველებს პრინციპული ბრძოლა ელით რუს თანატოლებთან — უეფამ ამ მატჩის გამართვა მინსკში ბრძანა. 10 სექტემბერს კი პოლონეთს ესტუმრებიან.

გუშინ, სანამ ივარჯიშებდნენ, ჩვენები მსოფლიოს მასშტაბით გამოცხადებულ ცოცხალ ჯაჭვში ჩაებნენ, საღამოს კი საგურამოში „ამერის" ბაზაზე საათი და 50 წუთი ივარჯიშეს.

ნავარჯიშევს ერთ-ერთ მწვრთნელ ბელა შეყილაძეს ვესაუბრეთ...

— ჯერ სრული შემადგენლობა არ გვყავს, შვიდი ფეხბურთელი კიდევ დაგვემატება — ველოდებით მეკარე იოსებ ხომერიკს, რომელიც საუდის არაბეთში თამაშობს, ალექსანდრე კობახიძეს, გიორგი ფოფხაძეს, ამირან სანაიას, დავით დევდარიანს, გიორგი ივანიშვილს და ბაქარ მირცხულავას.

— გამოცხადებულ სიას ტრავმების გამო რამდენიმე ფეხბურთელი გამოაკლდა...

— გიორგი მერებაშვილის თამაში გამოირიცხა, რევაზ ბარაბაძემ იოგები დაიზიანა, სამი თვე ვერ ითამაშებს ვახტანგ ფანცხავა, მან მუხლის სერიოზული ტრავმა მიიღო. სავარაუდოდ, იტალიიდან ვერ ჩამოვა ირაკლი შეყილაძე. დავით მჭედლიშვილიც დაგვაკლდება... ამიტომ ორი ახალი ფეხბურთელი გამოვიძახეთ — ამერელი რატი წინამძღვრიშვილი და ვიტჯორჯიელი ჯაბა ლიპარტია.

— მინსკში როდის მიემგზავრებით?

— გვინდა, რომ 3 სექტემბერს წავიდეთ. რაღაც საკითხები მოსაგვარებელია და ვნახოთ... მანამდე, ხვალ ორი ვარჯიში გვექნება — საგურამოში, „ამერის" ბაზაზე, დილას და საღამოს.

— პოლონეთთან თამაში სად გადაწყდა?

— გადაწყვეტილია, რომ პოლონეთში ვითამაშებთ.

— დღეს კი მთელი გუნდი ცოცხალ ჯაჭვში იყავით ჩაბმული...

— დღეს ყველა ქართველის ვალი იყო, რომ ერთად, ხელჩაკიდებულნი ვყოფილიყავით და დაგვენახვებინა მსოფლიოსთვის, თუ ვინ არის რუსეთი. ქართველებმა კარგად ვიცით, რუსები რასაც წარმოადგენენ და ეს ყველამ უნდა დაინახოს. ისინი იძულებულნი იქნებიან, საქართველო დატოვონ.

ნუკრი ლოლაძე

ახალგაზრდული ნაკრების ცოცხალი ჯაჭვი

23 ივლისიდან გაყიდვაშია საქართველოს ეროვნული ნაკრების 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის ხუთი საშინაო მატჩის აბონემენტები. დამზადებულია სამი სახის აბონემენტი — 150-ლარიანი (დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-9 სექტორი), 50-ლარიანი (დასავლეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-11 სექტორი), და 25-ლარიანი (ჩრდილოეთ ტრიბუნა, II იარუსი, მე-13 სექტორი).

25 და 50-ლარიანი აბონემენტების მფლობელებს საჩუქრად გადაეცემათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ლოგოთი დამშვენებული შარფი, ხოლო 150-ლარიანი აბონემენტის მფლობელებს მნიშვნელოვანი ფასდაკლებით — 50 ლარად შეუძლიათ შეიძინონ საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურა.

სამივე სახის აბონემენტების მფლობელები უფასოდ დაესწრებიან საქართველოს ეროვნული ნაკრების საშინაო ამხანაგურ მატჩებს. აბონემენტების შეძენა შეგიძლიათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში.

სფფ-ის პრესცენტრი

გერმანია

II ბუნდესლიგა

ფრაიბურგი 1:0 ჰანზა

შვეიცარია

სუპერლიგა

ციურიხი 3:0 ბელინცონა

ჩელენჯლიგა

ვინტერთური 4:1 ლოზანა

იტალია

სერია B

ბარი 1:1 ტრიესტინა

ფინეთი

ვაიკაუსლიგა

ინტერი 3:0 კტპ

საფრანგეთი

II დივიზიონი

მონპელიე 1:2 მეცი

ჩეხეთი

გამბრინუსლიგა

ბანიკი 2:3 სლავია

დანია

სუპერლიგა

მიდტიულანდი 1:1 ვეილე

სლოვენია

I ლიგა

ინტერბლოკი 3:1 ნაფტა

თურქეთი

სუპერლიგა

ბეშიქთაში 2:0 ქონია

II დივიზიონი

ალთაი 3:2 კართალსფორი

ნორვეგია

ტიპელიგა

ლილესტრიომი 1:1 სტაბეკი

შვედეთი

ალსვენსკა

ელფსბორგი 4:0 ლიუნგსკილე

ჰელსინგბორგი 5:1 ჰამარბი

იურგორდენი 0:0 იორებრო

გიოტებორგი 0:1 გაის

სუპერეტა

ლანდსკრონა 0:0 ბუნკეფლო

ენჩიოპინგი 1:2 ბრომაპოიკარნა

უკრაინა

ვიშა ლიგა

დნიპრო 2:0 მეტალისტი

რუმინეთი

პირველი დივიზიონი

სტიაუა 1:0 პანდურიი

პორტუგალია

სუპერლიგა

მარიტიმუ 0:1 გიმარაეში

მტრის მედალი არ მჭირდება!
შელიამ რუსებს ალანია დაუბრუნა

არ შეიძლება, ქართველ ადამიანს რუსების ქმედებების შემდეგ პროტესტის გამოხატვის სურვილი არ გაგიჩნდეს. სხვადასხვა პროფესიის ადამიანები სხვადასხვანაირად გამოხატავენ ამას.
საქართველოს ნაკრების ყოფილი მცველი მურთაზ შელია კი რუსებს იმ ოქროს და ვერცხლის მედლებს უბრუნებს, რომელიც 1995 და 1996 წლებში ვლადიკავკაზის „ალანიაში“ თამაშის დროს მოიპოვა...
აი, რა გვითხრა, გუშინ შელიამ...

ბადრი კეთილაძის ფოტო

— რასაც ახლა რუსეთი ჩემს ქვეყანას და ჩემს ხალხს უკეთებს, ყველანაირ ზღვარს ცდება. რად მინდა ის ოქროს და ვერცხლის მედლები, რომლებიც რუსეთში მოვიგე?! მტრის მედლები არაფერში მჭირდება და მე მათ ვუბრუნებ ამ მედლებს!

— ღღევანდელ ცოცხალ ჯაჭვში იყავით ჩართული?

— რა თქმა უნდა. მე პატრიოტი ვარ და სანამ ცოცხალი ვიქნები, ყოველთვის საქართველოს გვერდით ვიდგები!

— თქვენს გარდა სხვა ქართველებიც იყვნენ მაშინ „ალანიაში“. ისინიც ამას აპირებენ?

— ეს ჩემი ინიციატივა იყო და მათი პოზიცია არ ვიცი.

ნუკრი ლოლაძე

იგორ სურკისი: ასათიანი ჩვენი დიდი შეცდომა იყო

ორიოდ დღეა, რაც საქართველოს ნაკრების მცველი მალხაზ ასათიანი კიევის „დინამოში“ გადავიდა და ახალი და ყოფილი კლუბების პრეზიდენტები უკვე კომენტარებს აკეთებენ.

„ასათიანმა კიევის „დინამო“ 2002 წელსაც დაინტერესა, მაგრამ მაშინდელ მწვრთნელებს გასინჯვაზე თავი ვერ მოაწონა. ახლა ვამბობ, რომ მაშინ შევცდით. საკუთარი კლასი ასათიანმა „ლოკომოტივში“ დამტკიცა. თავის დროზე ჩვენ კიდევ ორი მომავალი ვარსკვლავი დავკარგეთ — ალექსანდრ გლები და ანატოლი ტიმოშჩუკი“ — განაცხადა „დინამოს“ პრეზიდენტმა იგორ სურკისმა.

„დინამოს“ მეპატრონემ ისიც აღნიშნა, რომ ქართველის გადაყვანა მწვრთნელ იური სიომინის მოთხოვნა იყო.

„ასათიანი სიომინის ხელში თამაშობდა და მწვრთნელი მას უნივერსალ ფეხბურთელად მიიჩნევს, რომელიც მოედანზე დიდ სამუშაოს ასრულებს. მზად ვიყავით, ასათიანის სატრანსფერო უფლებები გამოგვესყიდა, მაგრამ სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე ცოტა დრო რჩებოდა. ამაზე, სავარაუდოდ, დეკემბერში ვიზრუნებთ“ — დასძინა სურკისმა.

„ლოკომოტივის“ პრეზიდენტმა ნიკოლაი ნაუმოვმა კი ასათიანის გაშვება სათამაშო პრაქტიკის უქონლობით ახსნა...

„ასათიანს მუდმივი სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონდა, ამიტომ მის თხოვნას, გუნდი შეეცვალა, გაგებით მოვეკიდეთ. ის სიომინთან დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა და ჩვენ ეს ფაქტიც გავითვალისწინეთ“.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ბურდული ტავრიაში ორი წლით ჯდება

სიმფეროპოლის „ტავრია“ უკრაინის ჩემპიონატში ბოლოსწინა ადგილზეა და გუნდის გაძლიერებას ქართველი ფეხბურთელით აპირებს.

სავარაუდოდ, ყირიმელები ლადო ბურდულს დაიმატებენ — საბოლოო მოლაპარაკება გუშინ გვიან უნდა შემდგარიყო, სადღეისოდ კი ყველაფერი უნდა გაფორმდეს.

თუკი ბურდულმა ვასილ გიგიაძის „ტავრიასთან“ კონტრაქტი გააფორმა, ამ გუნდში ორი წლის განმავლობაში ითამაშებს.

ბურდულს უკრაინაში კრივოი როგის „კრიებასსა“ და ლუგანსკის „ზარიაში“ უთამაშია, მათ გარდა კი რუსულ „ალანიაშიც“ იყო.

მიხეილ ჟორჟოლიანი

კალაძის მადლობა ბერლუსკონის!

იტალიური „მილანის“ ქართველი მცველი კახა კალაძე მადლობას უხდის კლუბის პრეზიდენტსა და იტალიის პრემიერ-მინისტრ სილვიო ბერლუსკონის რუსეთ-საქართველოს ომის დასრულებაში შეტანილი წვლილისთვის.

სააგენტო ANSA-სთვის მიცემულ ინტერვიუში კალაძემ განაცხადა, რომ რუსეთმა ცეცხლი ბერლუსკონისა და რუსეთის პრემიერ-მინისტრ ვლადიმირ პუტინის 5-საათიანი სატელეფონო საუბრის შემდეგ შეწყვიტა.

„მსოფლიომ უნდა იცოდეს, რომ ომი საქართველოში სწორედ ბერლუსკონის დახმარებით დასრულდა, რის გამოც მას მადლობას ვეუბნები. ბერლუსკონი პუტინთან მეგობრობს, საქართველოსა და რუსეთს შორის ომის შეწყვეტაც მისი ჩარევის შემდეგ მოხერხდა. მე მუდამ ბერლუსკონის მადლიერი ვიქნები“ — განაცხადა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა.

კახა შალამბერიძე

საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი, ბოლო დროს „არსენალის“ წევრი გიორგი დემეტრაძე რამდენიმე დღეა, უკრაინულ კლუბს დაშორდა და მისი ასავალ-დასავალი არავინ იცოდა, თუმც სატრანსფერო ფანჯრის ბოლო დღეს გამოჩნდა და ამიერიდან აზერბაიჯანული „ბაკის“ ღირსებას დაიცავს.

სამი ქვეყნის — საქართველოს (1997), რუსეთისა (1999) და უკრაინის (2004) — ჩემპიონატების ბომბარდირს ბოლო დროს საქმეები აერია და „არსენალის“ 18-კაციან განაცხადშიც ვერ ხვდებოდა, ამიტომ კლუბთან განშორება არჩია და აზერბაიჯანში თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდა.

„გიორგი დემეტრაძის აგენტი დამიკავშირდა და მითხრა, რომ ფეხბურთელი თავისუფალია. ვნახე მისი სტატისტიკური მონაცემები, რამდენიმე მატჩის ფირი და მივხვდი, რომ სწრაფი თავდამსხმელის პოზიციაზე, რომელიც ასე გვაკლდა, დემეტრაძე გამოგვადგება“ — განაცხადა „ბაკის“ მაკედონიელმა მწვრთნელმა ჯოკო ჰაჯიევსკიმ.

მიხეილ ჟორჟოლიანი

დემეტრაძემ რუსეთზე უარი თქვა!

კონფლიქტის გამო ბაკი გადაწყდა

ჯერ აზერბაიჯანში *გიორგი დემეტრაძის* გადასვლის ამბავი ოფიციალურად გახმაურებული არ იყო, ჩვენებური იქაური ჟურნალისტების ყურადღების ქვეშ რომ მოექცა...

— როგორ აღმოჩნდით „ბაკიში“?

— აგენტის დახმარებით. შეეხვდი მწვრთნელს, ხელმძღვანელებს... პირობები მომეწონა და კონტრაქტიც შედგა.

— რამდენწლიანი კონტრაქტი გაფორმდა?

— ორწლიანი.

— აზერბაიჯანის გარდა სხვა ქვეყნებიდან თუ გქონდათ მიწვევა?

— იყო ჩინეთიდან, მაგრამ იქამდე ძალიან შორია. მიწვევდნენ რუსეთშიც, მაგრამ ახლა ამ ქვეყანასთან საქართველოს კონფლიქტი აქვს და „ბაკი“ ვარჩიე.

— „ბაკიზე“ გქონდათ ინფორმაცია?

— ვიცი, რომ ჩემპიონატის ლიდერია. იმედია, ჩემპიონები გავხდებით.

— აზერბაიჯანში ბევრი ქართველი ფეხბურთელია, იცნობთ მათ?

— თითქმის ყველას.

— ესეც ხომ არ იყო აზერბაიჯანში თამაშის მიზეზი?

— არა. აზერბაიჯანი მეზობელი ქვეყანაა და ვფიქრობ, მენტალიტეტითაც ვგავართ.

— აქ მოთამაშე ქართველები თვლიან, რომ ნაკრებში ადგილი სწორედ აქ გადმოსვლამ დააკარგვინათ...

— მე დიდი ხანია, ნაკრების წევრი ვარ და იმედი მაქვს, კიდევ ვითამაშებ იქ. ბაქოში ჩამოსვლა ამაზე არ იმოქმედებს.

— „ბაკიში“ ბევრი ლეგიონერია. კონკურენციისთვის მზად ხართ?

— კონკურენციის გარეშე პროგრესი არ არსებობს — ეს გუნდისთვისაც კარგია. მინდა, „ბაკი“ გავაძლიერო.

— თამაშობდით ესპანეთში, ჰოლანდიაში, ისრაელში, რუსეთში, უკრაინაში. აქ გადმოსვლას უკან გადადგმულ ნაბიჯად არ მიიჩნევთ?

— თუ ასაკს გავითვალისწინებთ, ვფიქრობ, კარგი ვქენი, „ბაკი“ რომ ავირჩიე.

დავით დევდარიანი ორჰუსის კაპიტა

დავით დევდარიანის დანიური ფოტო

საქართველოს ახალგაზრდა ნაკრების ნახევარმცველი დავით დევდარიანი დანიურ „ორჰუსში“ ოფიციალურად გადავიდა. გეცოდინებათ, 20 წლის ფეხბურთელი თვენახევრის წინ ძმები არველაძეების ფონდის მეშვეობით მოხვდა „ორჰუსში“ გასინჯვაზე, სადაც მწვრთნელ უვე ანდერსენისა და მენეჯერ ბრაიან სტენ-ნილსენის მოწონება დაიმსახურა.

მაშინ დევდარიანს ვიზა დაუმთავრდა და ამის გამო ვერ დარჩა დანიაში, საქართველოში ჩამოვიდა და „ოლიმპში“ ვარჯიშობდა.

დავითი უელსის ნაკრებთან ამხანაგურ შეხვედრაშიც მიიწვია ექტორ რაულ კუპერმა და ბოლო წუთებზე ათამაშა.

20 წლის ქართველმა კონტრაქტი უკვე გააფორმა და სანაკრებო მატჩების შემდეგ „ორჰუსში“ მის დებიუტსაც უნდა ველოდოთ.

ცოტა რამ „ორჰუსზეც“: ეს კლუბი დანიის სუპერლიგაში 6 ტურის შემდეგ 6 ქულით მეცხრე ადგილზეა, თუმცა საკმაოდ ნორმალური შემადგენლობა ჰყავს, საკმაო ხანია, არ გავარდნილა და არც წლეულს ითვლება დაქვეითების კანდიდატად. ამასთან, როგორც შოთა და არჩილ არველაძეებმა გვითხრეს, ეს კლუბი ერთ-ერთი ცნობილი იმპორტიორია — ბოლო წელიწადში 13 ფეხბურთელი გაუშვა გერმანიის, ინგლისის თუ საფრანგეთის გუნდებში.

ილია ნანოგაშვილი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

საქართველოს თასის მერვედფინალის შეხვედრები, როგორც იქნა, ჩატარდა, ერთი მატჩი კი დღეს გაიმართება — „ვიტ ჯორჯია“ „მიხეილ მესხზე“ „სამტრედიას“ უმასპინძლებს. ცხინვალის „სპარტაკმა“ სტუმრად მარტვილის „მერანი“ 1:0 დაამარცხა. მოგეხსენებათ, „სპარტაკი“ საშინაო მატჩებს გორში ატარებს და რამდენიმე დღის წინ რუსმა მარადიორებმა სტადიონიდან „სპარტაკის“ ფარმ-კლუბის ბურთები, ფორმა და სხვა ინვენტარი ნაიღეს. გუშინ შევიტყვეთ, რომ შესაძლოა, „სპარტაკს“ დაფინანსება შეუწყდეს და ცხინვალელთა მთავარ მწვრთნელ **კობა ჟორჟიკაშვილსაც** ამად შევეხმიანეთ...

დაშლაზე ჩემთვის არაფერი უთქვამთ

— ჯერჯერობით ყველაფერი ნორმალურადაა, რა თანხაც მისაღები გვქონდა, ყველაფერი მივიღეთ. ამ დღეებში ვესაუბრე კლუბის პრეზიდენტ დიმიტრი სანაკოევს და ასეთი არაფერი უთქვამს.

— მარტვილის „მერანთან“ საათასო მატჩზე რას იტყვით?

— საკმაოდ რთული თამაში გვქონდა. მარტვილელები პირველ ლიგაში ერთ-ერთი ფავორიტები იქნებიან. საკმაოდ კარგი ინფრასტრუქტურა აქვთ, რამაც გამაკვირვა. ბევრი უმაღლესლიგელი ინატრებს ასეთ პირობებს.

— ომიანობის დროს „სპარტაკმა“ ვარჯიშები შეწყვიტა, რაც გუნდზე ალბათ ცუდად იმოქმედებს...

— რა თქმა უნდა, 8 აგვისტოდან 20 აგვისტომდე არ ვვარჯიშობდით, რამაც ფეხბურთელები თავისთავად ამოაგდო ფორმიდან და სასურველ კონდიციამდე ისევ რომ მივიდნენ, ახლა ბევრი მუშაობა იქნება საჭირო — დაკარგული უნდა ავინაზღაუროთ.

— საქართველოს ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ კიდევ საკმაო პაუზაა და ამხანაგურ მატჩს ხომ არ გეგმავთ?

— ამ დღეებში აუცილებლად გავმართავთ ამხანაგურ მატჩს, თუმცა ჯერ მეტოქე არ შეგვირჩევია.

ნუკრი ლოლაძე

კრასნოჟანმა გოგუას სუპერგოლი დაუჩრდილა

გოგიტა გოგუას სუპერგოლზე გუშინაც დავწერეთ: ნალჩიკის „სპარტაკის“ ნახევარმცველმა მოსკოვურ სეხნიას მსაჯის მიერ დამატებულ წუთებზე 35 მეტრიდან საჯარიმო დარტყმით გაუთანაბრა.

ანგარიში 1:1 გახდა, თუმცა ერთ წუთში მოსკოველებმა გადამწყვეტი გოლი შეაგდეს.

ნალჩიკელთა მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა გოგუას უსაყვედურა — დაახლოებით ასე გამოუვიდა, მეორე გაშვებული გოლი ჩვენიანს დააბრალა, ანუ ის ულამაზესი გოლი დაუჩრდილა.

„გოგუას რომ ფელიპესთვის პასი მიეცა, ბურთი არ დაიკარგებოდა და მატჩი ჩვენი შეტევით ჩამთავრდებოდა, ასე კი, მეორე გოლი მივიღეთ და დასანანად წავაგეთ“ — ამბობს კრასნოჟანი.

ილია ნანოგაშვილი

ამირან მუჯირმა ქარი დაიხმარა



აზერბაიჯანის ჩემპიონატს ქართველთა გუნდები ლიდერობენ — ზაქათალის „სიმურგი“ და „ბაკი“.

მეოთხე ტურში „ბაკმ“ სტუმრად 2:0 დაამარცხა აგდამის „ყარაბაღი“, სადაც ახლახან ალექსანდრე გოგობერიშვილი გაუშვა, თუმც თავისი ყოფილი გუნდის წინააღმდეგ მას არ უთამაშია. სრულად ითამაშა ბაქოელთა ქართველმა ამირან მუჯირმა და კურიოზული გოლით ანგარიშიც გახსნა — ფლანგიდან ჩაწოდებულ ჯარიმას ქარი წაეხმარა და ბურთი კარში შეფრინდა.

ზაქათალელები კი სტუმრად 0:0 ეთამაშნენ „ნეფთჩის“. სრულად გაისარჯნენ კახა ჩხეტიანი და მიხეილ მახვილაძე, დავით ბოლქვაძემ 76 წუთი ითამაშა, გრიგოლ დოლიძე კი სათადარიგოთა შორის დარჩა.

ბაქოელთაგან გიორგი ადამიამ 90 წუთი ითამაშა, გიორგი ჭელიძე არ გამოჩენილა.

ბაქოსავე „ოლიმპიკმა“ სტუმრად 2:1 მოუგო „ბაკილის“ და მესამე ადგილზე აინაცვლა. რევაზ გეწაძე და მიხეილ ხუციშვილი სრულად დაიტვირთნენ, რომან ახალკაცს არ უთამაშია. „ბაკილის“ რიგებში 90 წუთი შოთა ჯიშკარიანმა და გივი ჩხეტიანმა ითამაშეს, დავით ქოქიაშვილმა — 55.

მეოთხე ადგილზეა ევლახის „ქარვანი“, რომელმაც 3:1 მოუგო კახა ცხადაძის დამოძღვრილ „სტანდარდს“. ევლახელი მიხეილ მესხი მოედანზე 70-ე წუთზე გამოჩნდა, ხოლო სტანდარდელებმა, მიხეილ ალავიძემ და დავით ჭიჭვეიშვილმა სრულად ითამაშეს.

მეხუთე ადგილზეა თორნიკე აფციაურისა და გოგა ბერაიას „გაბალა“, რომელმაც სტუმრად სენსაციურ ფრეს (1:1) მიაღწია ჩემპიონ „ინტერთან“ — ქართველებმა სრულად ითამაშეს.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ცხადაძემ ლეგიონს კბილი გაჰკრა

აზერბაიჯანის პრემიერლიგის მეოთხე ტურში ევლახის „ქარვანთან“ 1:3 მარცხის შემდეგ ბაქოს „სტანდარდის“ ქართველმა თავკაცმა კახა ცხადაძემ ლეგიონერები გააკრიტიკა: „ჩვენ ორი განსხვავებული ტაიმი ვითამაშეთ. პირველი ნახევარი ძალიან ცუდად ჩავატარეთ, მეორე — კარგად. ზოგი ლეგიონერი საკუთარ თამაშზე სერიოზულად უნდა დაფიქრდეს, რადგან შეუცვლელი ფეხბურთელები არ არსებობენ“.

„სტანდარდი“ ჩემპიონატში მერვე ადგილზეა.

კახა შალამბერიძე

ორი ჯელო, ერთი ჭელო

ყაზახეთის პრემიერლიგის 22-ე ტურში უსტ-კამენოგორსკის „ვოსტოკი“, რომელშიც ძმები, ზვიად და გიზო ჯელაძეები თამაშობენ, ყარაგანდის „შახტიორთან“ სტუმრად 1:2 დამარცხდა.

უფროსმა ჯელაძემ სრულად ითამაშა, გიზო კი 67-ე წუთზე შეცვალეს.

„ვოსტოკი“ სატურნირო ცხრილში მეხუთე ადგილზეა.

ამავე ტურში ყიზილორდას „ქაისარი“ სტუმრად აღმათის „კაირატს“ უგოლოდ დაშორდა. ყიზილორდელი ქართველი მცველი ლაშა ჭელიძე მოედანზე მე-80 წუთზე გამოჩნდა.

რამდენიმე ტურის წინ ჩემპიონატის ლიდერი „ქაისარი“ ახლა მეოთხე ადგილზეა.

კახა შალამბერიძე

განცხადება

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან შეთანხმებით ატარებს:

1. ეროვნული ჩემპიონატის მესამე (რეგიონალურ) გათამაშებას 1989-90 წ.წ. დაბადებულებს შორის;

2. აფხაზეთის ღია ჩემპიონატს 1991-92წ.წ.—1993-94წ.წ. დაბადებულებს შორის.

შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება აქვს აღმოსავლეთ საქართველოს ნებისმიერ კლუბს (გუნდს), რომელიც შეასრულებს რეგლამენტის მოთხოვნებს.

საწევროს, მომსახურე მსაჯთა და დამკვირვებლის ანაზღაურების საკითხი რეგლამენტით დამტკიცებულია.

გათამაშებაში გამარჯვებული გუნდები დაჯილდოვდებიან გარდამავალი თასით, მედლებითა და დიპლომებით. ამის გარდა, დაწესებულია წამახალისებელი პრიზები საუკეთესო მოთამაშეებისთვის.

თათბირი ამ საკითხზე გუნდების წარმომადგენლებთან გაიმართება მ.წ. 5 სექტემბერს 12 საათზე.

მისამართი ქ. თბილისი, შ. იამანიძის №5.

საკონტაქტო ტელეფონები: 35-60-12, 94-29-39, 899-25-60-35, 899-41-13-49

აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია

მარჩელო ლიპის ძველი ახალი

მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში საქართველოს ნაკრები 10 სექტემბერს უდინეში იტალიას ესტუმრება. ოთხი დღით ადრე კი „სკუადრა აძურა“ კვიპროსს გაეჯიბრება.

იტალიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ საამმატჩებოდ ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელები დაასახელა...

მეკარეები: ჯანლუიჯი ბუფონი („იუვენტუსი“), მარკო ამელია („პალერმო“), მორგან დე სანტისი („გალათასარაი“, თურქეთი);

მცველები: ანდრეა ბარძალი („ვოლფსბურგი“, გერმანია), ფაბიო კანავარო („რეალი“, ესპანეთი), მარკო კასეტი („რომა“), ანდრეა დოსენა („ლივერპული“, ინგლისი), ალესანდრო გამბერინი („ფიორენტინა“), ფაბიო გროსო („ლიონი“, საფრანგეთი), ნიკოლა ლეგროტალიე („იუვენტუსი“), ჯანლუკა ძამბროტა („მილანი“);

ნახევარმცველები: ალბერტო აკვილანი („რომა“), მაურო კამორანეზი („იუვენტუსი“), დანიელე დე როსი („რომა“), ანჯელო პალომბო („სამპდორია“), ანდრეა პირლო („მილანი“), ჯენარო გატუზო („მილანი“);

თავდამსხმელები: ალესანდრო დელ პიერო („იუვენტუსი“), ანტონიო დი ნატალე („უდინეზე“), ალბერტო ჯილარდინო („ფიორენტინა“), ვინჩენცო იაკვინტა („იუვენტუსი“), ლუკა ტონი („ბაიერნი“, გერმანია).

ფილიპოვიჩმა გუნდი შეკრიბა

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში საქართველოს ნაკრების მეტოქე ჩერნოგორიის მთავარმა მწვრთნელმა ზორან ფილიპოვიჩმა 6 და 10 სექტემბერს ბულგარეთსა და ირლანდიასთან ჩასატარებელი საშინაო მატჩებისთვის შემადგენლობა დაასახელა...

მეკარეები: ვუკშინ პოლექსიჩი („დებრენეცი“, უნგრეთი), მლადენ ბოჟოვიჩი („პარტიზანი“, სერბეთი);

მცველები: სავო პავიჩევიჩი („კოტბუსი“, გერმანია), მილან იოვანოვიჩი („კლუჟი“, რუმინეთი), ლუკა პეჯოვიჩი („მოგრენ ბუდვა“), რადოსლავ ბატაკი („ანკარა“, თურქეთი), იოვან ტანასევიჩი („დინამო“, რუსეთი), ვლადო ივკნიჩი („ვეჰენი“, გერმანია), ესლად ცვერეტიჩი („ლუცერნი“, შვეიცარია);

ნახევარმცველები: ბრანკო ბოშკოვიჩი („რაპიდი“, ავსტრია), ნიკოლა დრინჩიჩი („ამკარი“, რუსეთი), მიტარ ნოვაკოვიჩი („ამკარი“, რუსეთი), ვლადიმირ ბოჟოვიჩი („რაპიდი“, რუმინეთი), მილორად პეკოვიჩი („მაინცი“, გერმანია), სიმონ ვუჩევიჩი („სპორტინგი“, პორტუგალია), ივორ ბურზანოვიჩი („ცრვენა ზვეზდა“, სერბეთი);

თავდამსხმელები: მირკო ვუჩინიჩი („რომა“, იტალია), სტევან ივეტიჩი („ფიორენტინა“, იტალია), რადომირ იალოვიჩი („რაპიდი“, რუმინეთი), დეიან დამიანოვიჩი („სეული, სამხრეთ კორეა), დრაგან ბოგავაცი („მაინცი“, გერმანია).

კვარაცხელიას ცხელი აგვისტო

ბელარუსის „მტზ-რიპოს“ ქართველი გივი კვარაცხელია გუნდის აგვისტოს თვის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინაციაში დიდი უპირატესობით ლიდერობს.

კლუბის ვებგვერდზე გამოკითხულთა 38,9 პროცენტი ხმას ჩვენებურს აძლევს, მეორე ადგილზე იანკო ვილკანოვია (27,1), მესამეზე — ალექსანდრ სულიმა (7,0).

კვარაცხელიამ ბოლო სამ მატჩში სამი გოლი გაიტანა, რაც საყრდენი ნახევარმცველისთვის საკმაოდ კარგი მაჩვენებელია, სულ კი მინსკურ გუნდში ოთხი გოლი აქვს გატანილი და ოთხივე თავით.

მიხეილ ჟორჟოლიანი

ქართველები უცხოეთში

სახელი გვარი	გუნდი	სად	მეტოქე	წთ	შენიშვნა	თ	გ	ა
იტალია. სერია A								
კახა კალაძე	მილანი	შ	ბოლონია 1:2	90		1	0	14
ლევან მჭედლიძე	პალერმო	ს	უდინეზე 1:3	0	განაცხადში არ იყო	0	0	18
ინგლისი. პრემიერლიგა								
ზურაბ ხიზანიშვილი	ბლეკბერნი	ს	ვესტ ჰემი 1:4	0	სათადარიგო	0	0	10
ავსტრია. ბუნდესლიგა								
გიორგი შაშიაშვილი	შტურმი	ს	რიდი 1:4	90		8	0	2
ილია კანდელაკი	შტურმი	ს	რიდი 1:4	90		8	0	2
ავსტრია. ერსტელიგა								
მირზა ბჟალავა	ა. ლუშტენაუ	შ	ლუშტენაუ 1:1	30	შეცვლაზე ითამაშა	3	0	11
გერმანია. ბუნდესლიგა								
ლევან კობიაშვილი	შალკე	შ	ბოხუმი 1:0	0	სათადარიგო	2	0	1
ლევან ყენია	შალკე	შ	ბოხუმი 1:0	0	განაცხადში არ იყო	0	0	1
ალექსანდრე იაშვილი	კარლსრუე	შ	კიოლნი 0:2	16	შეცვლაზე ითამაშა	2	0	12
გერმანია. მეორე ბუნდესლიგა								
მათე ღვინიანიძე	მიუნხენ 1860	ს	ალენი 1:2	0		1	0	18
ოთარ ხიზანეიშვილი	აუგსბურგი	ს	დუისბურგი 0:2	0		1	0	11
დავით თარგამაძე	ფრაიბურგი	შ	ჰანზა — *წუხელ*	0	განაცხადში არ იყო	0	0	3
რუსეთი. პრემიერლიგა								
დავით მუჯირი	ლოკომოტივი	შ	ცსკა 0:2	0	განაცხადში არ იყო	6	0	8
დავით კვირკველია	რუბინი	ს	ამკარი 2:1	90		17	3	1
ლაშა სალუქვაძე	რუბინი	ს	ამკარი 2:1	0	სათადარიგო	11	0	1
ნუკრი რევიშვილი	რუბინი	ს	ამკარი 2:1	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	1
გოგიტა გოგუა	ნალჩიკი	ს	სპარტაკი 1:2	30	შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი	16	1	9
ალექსანდრე ამისულაშვილი	ნალჩიკი	ს	სპარტაკი 1:2	90		20	3	9
დავით სირაძე	ნალჩიკი	ს	სპარტაკი 1:2	20	შეცვლაზე ითამაშა	18	2	9
ლევან გვაზავა	ლუჩ-ენერგია	შ	ტერეკი 1:1	90		18	1	6
შვეიცარია. სუპერლიგა								
გიორგი ივანიშვილი	ციურიხი	შ	ბელინცონა 3:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
ჩეხეთი. გამბრინუსლიგა								
გიორგი განუგრავა	ბოლესლავი	შ	ოლომოუცი 2:1	0	განაცხადში არ იყო	1	0	4
დიმიტრი ტატანაშვილი	პლზენი	შ	ტეპლიცე 1:1	67	შეცვალეს	4	1	9
სლოვაკეთი. კორგონ ლიგა								
ირაკლი ლილუაშვილი	ნიტრა	ს	სლოვანი 0:2	31	შეცვლაზე ითამაშა	7	0	9
დანია. I დივიზიონი								
გიორგი ფოფხაძე	ვიბორგი	ს	კოლდინგი 3:1	90		3	0	1
უკრაინა. ვიშა ლიგა								
მალხაზ ასათიანი	დინამო	შ	მ. დონეცკი 1:0	0		0	0	2
ოთარ მარცვალაძე	დინამო	შ	მ. დონეცკი 1:0	0	ტრავმირებულია	0	0	2
დავით იმედაშვილი	დინამო	შ	მ. დონეცკი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
კახა ალადაშვილი	დინამო	შ	მ. დონეცკი 1:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	2
ვასილ გიგიაძე	ტავრია	შ	ჩერნომორეცი 1:3	67	შეცვალეს	4	1	15
გიორგი ციმაკურიძე	ზარია	შ	კრივბასი 1:2	27	შეცვლაზე ითამაშა	4	0	7
კახა მჟავანაძე	ჩერნომორეცი	ს	ტავრია 3:1	90		5	0	6
ჯაბა კანკავა	დნიპრო	შ	მეტალისტი 2:0	0	ტრავმირებულია	0	0	5
სანდრო კობახიძე	დნიპრო	შ	მეტალისტი 2:0	0	სარეზერვო გუნდშია	0	0	5
გიორგი დემეტრაძე	არსენალი	ს	ლვოვი 1:0	0		0	0	10

შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში

პირველი ტური ტოტოსი იყო

დაიწყო სერია A-ს 2008-2009 წლების სეზონიც და პირველივე ტური, როგორც მოსალოდნელი იყო, ძალიან საინტერესო გამოდგა. channel4.com-ი კი ახლებურ და არანაკლებ საინტერესო ჩანახატს გვთავაზობს

ანტონიო დი ნატალე

განსაკუთრებული

ანტონიო დი ნატალე (უდინეზე) — ამ ზაფხულს, ევროპის ჩემპიონატის, კერძოდ კი ესპანეთთან მეოთხედფინალში გაცუდებული პენალტის მერე, იგი ყველამ უარყო. თუმცა ახალი სეზონის 90 წუთში ტოტომ მოახერხა და შეგვახსენა თუ რატომ იყო იქ და რატომ ხვდებოდა შემადგენლობაში. უდინელთა კაპიტანმა „პალერმოსთან“ მხოლოდ ორი ბრწყინვალე გოლი კი არ გაიტანა, მთლიანობაში სამაგალითო იყო და ასე დიდებულად თამაში დარჩენილ 37 ტურში გაუჭირდება.

დამარცხებული

ფელიპე მელუ (ფიორენტინა) — უდავოდ განსაკუთრებული შემთხვევაა. ბრაზილიელს სერია A-ში დებიუტრი ჰქონდა და გვაჩვენა, რომ ის დუნგა უფროა, ვიდრე რონალდინიო. ბურთს ნამდვილად კარგად ფლობს, მაგრამ ეს რამდენად წაადგება „იებს“, საკიტხავია. როცა მეორე ყვითელი ბარათი მიიღო, კრისტიან პოულსენს ისე ეუხეშა, რომ ეს ეპიზოდი თავისუფლად მოხვდებოდა პაოლო მონტერროს ვარდნების წიგნში. თან გაუკვირდა, რატომ გამაძევესო, დაუჯერებელია...

ტაქტიკის გაკვეთილები

დანიელე არიგონი (ბოლონია) — გაძლიერებულ „მილანთან“ თამაშისას სერია A-ში დაბრუნებული „რომბლუს“ მწვრთნელმა ძველ იტალიურ ტაქტიკურ სკოლას მიმართა და თამაში დაცვიდან აწყო, ეგებ კონტრიერიშებზე რაიმეს გამოვრჩეო. გამორჩა და მერე როგორ... მართალია, „ბოლონიამ“ სამი ქულა ფრანჩესკო ვალიანის ჩინებული გასროლის წყალობით მოიპოვა, მაგრამ არიგონის ქების მეტი არაფერი ეკუთვნის. ეს იყო პასუხი მათთვის, ვისაც „კალიარის“ ექსთავაკაცის შესაძლებლობებში ეჭვი ეპარებებოდათ.

გოლი

ანტონიო დი ნატალე — ტანჩია ტოტო უბრალოდ გოლების ბრწყინვალე გამტანი კი არა, ბრწყინვალე გოლების გამტანიცაა, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა. მან „პალერმოს“ მეორე გოლი მართლაც საუცხოო დარტყმით გაუტანა და ფეხზეწამომდგარი ქომაგებისგან ოვაციაც დაიმსახურა. დი ნატალემ გაეტანო დაგოსტინოს პასი მიიღო და ჩინებულად გადაუგდო ბურთი თავზე ცოტათი წინ გამოსულ მარკო ამელიას.

მამა მიას

უმაღლეს ლიგაში დაბრუნებული „ბოლონიას“ მიერ „სან სიროზე“ „მილანის“ წაქცევა მთავარი სენსაციაა. „როსონერისგან“ მრავალი მიზეზის გამო ბევრს ელოდნენ და თან მათ თითქოს ყველაზე სუსტი მეტოქე ჰყავდათ. „ინტერი“ „სამპდორიას“ სტუმრობდა, „რომა“ „ნაპოლის“ მასპინძლობდა „ფიორენტინა“ და „იუვენტუსი“ კი ერთმანეთს ხვდებოდნენ. ყველა ეს შეხვედრა ფრედ დასრულდა და ახლა „მილანი“ კონკურენტებზე ორი ქულით წინ უნდა ყოფილიყო, მაგრამ... ერთით უკანაა.

რა ვისწავლეთ ამ უქმეებზე

მას მერე, რაც „ინტერი“ გენუაში მხოლოდ ფრეს დასჯერდა, თან ისე, რომ „სამპდორია“ უკეთ გამოიყურებოდა, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ყველაფერი, რასაც ჟოზე მაურინიუ ეხება, ოქროდ არ იქცევა. როგორც ჩანს, „განსაკუთრებულს“ გარკვეული დრო დაჭირდება, რათა რობერტო მანჩინის „ინტერი“ თავისად აქციოს. „სან სიროზე“ კი ვიხილეთ რონალდინიოს რამდენიმე ბრწყინვალე ფინტი. მართალია, ამას შედეგი არ მოჰყოლია, მაგრამ გამოჩნდა, რომ ბრაზილიელს „მილანთან“ და სერია A-სთან მშვენივრად შეგუება შეუძლია, ანუ მომავალში ბევრ საინტერესოს უნდა ველოდოთ.

რიცხვები

უკვე 26 წელია, „იუვენტუსი“ სადებიუტო მატჩში არ მარცხდება. ტურინელებმა „ფიორენტინასთან“ ნათამაშები ფრით თავიანთი რეკორდი გაუმჯობესეს. ბოლოს მათ 1982 წელს წააგეს პირველ ტურში „სამპდორიასთან“. მას მერე — 18 მოგება და 8 ფრე. „მილანს“ კი, თავის მხრივ, „ბოლონიასთან“ მარცხამდე სადებიუტო შეხვედრა 22 წელი არ წაეგო 1986 წელს „ასკოლისთან“ მარცხის შემდეგ.

გიორგი კაკაბაძე

კვარეშმას საგა დასრულდა

დრაკონებმა ინტერს დაათმობინეს

რიკარდუ კვარეშმა ინტერელია... მთელი ზაფხულია, ამ ტრანსფერზე მიდის ლაპარაკი და აი, ყველაფერს წერტილი დაესვა.

პირველად ინფორმაცია „პორტუს“ ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა. არადა, შაბათ საღამოს მილანელთა პრეზიდენტმა მასიმო მორატიმ თქვა, კვარეშმა აღარ გვჭირდება და მოლაპარაკებები ჩაიშალაო...

როგორც ირკვევა, „ინტერი“ კვარეშმაში, რომელიც 26 სექტემბერს 25 წლის გახდება, 15 მილიონ გირვანქას იხდის. პლუს 4,8 მილიონს, თუ გარემარბი „ნერაძურისთან“ ერთად წარმატებულად ითამაშებს და ამასთან, „ინტერი“ „დრაკონებს“ პორტუგალიელ შემტევ ნახევარმცველ პელეს უთმობს, ვისი ფასიც დაახლოებით ასევე 4,8 მილიონია.

ერთი სიტყვით, საერთო ჯამში კვარეშმას ფასი 25 მილიონი გირვანქა გამოდის, რაც დიდი ფულია და, აქედან გამომდინარე, ჩანს, რომ ბოლო მომენტში დათმობაზე ისევ „ინტერი“ წასულა და არა „პორტუ“.

კვარეშმა უკვე მილანშია, სამედიცინო შემოწმებაც გაიარა და სხვა დეტალები სულ მალე გახდება ცნობილი, ცხადია, ტრადიციული პრესკონფერენციებითა და კომენტარებით.

კოკი კანდელაკი

სპალეტის ნაპოლი მოეწონა

ლუჩანო სპალეტის „რომამ“ ათკაციან „ნაპოლის“ ვერ მოუგო. „გლადიატორები“ ალბერტო აკვილანის გოლით ნეაპოლელებს კი უგებდნენ, მაგრამ ფაბიო სანტაკროჩეს გაძევებისთანავე, სტუმრებმა მათი ლიდერის, მარეკ ჰამშიკის წყალობით შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და ფრე შეინარჩუნეს კიდეც.

„მთლიანობაში გუნდმა კარგად ითამაშა, მაგრამ პატარ-პატარა პრობლემები ნამდვილად გვქონდა. ეს შეხვედრა შეიძლებოდა ნებისმიერი ანგარიშით დასრულებულიყო. „ნაპოლი“ ბრწყინვალედ გამოიყურებოდა და ქებას იმსახურებს. ოთხი ახალი ფეხბურთელი გვყავდა და ცხადია, შეთამაშება სჭირდებათ. ვგრძნობ, ეს სეზონი ბევრად უფრო დაძაბული და საინტერესო იქნება, ვიდრე გასული“ — თქვა სპალეტიმ.

„მიზეზები არ უნდა ვეძებოთ, ამას გამართლება არ აქვს. როცა ათკაციან მეტოქეს ეთამაშები, უნდა მოიგო. ასეთი შეცდომების დაშვების უფლება საკუთარ თავს არ უნდა მივცეთ, თუ წარმატებების მიღწევა გვინდა“ — ეს კი დედაქალაქელთა მცველის ფილიპ მექსესის სიტყვებია.

„ნაპოლი“, ცხადია, ქულით კმაყოფილი დარჩა. თუმცა არგენტინელ ფორვარდ ხერმან გუსტავო დენისს ისეთი დებიუტი არ გამოუვიდა, როგორსაც ელოდნენ.

ნეაპოლელთა მწვრთნელი ედუარდო რეხა: „პირველ ტაიმში „რომა“ თავის სტიქიაში იყო და ბურთს ჩინებულად აგორებდა. კონტრიერიშებზე რამდენიმე კარგი შანსი გვქონდა, განსაკუთრებით ესეკიელ ლავეცის. 10 კაციანაც შევძელით ფონს გასვლა, ეს ალბათ იმის დამსახურებაა, რომ ფიზიკურად ძალიან კარგად ვართ მომზადებულნი. რაც შეეხება დენისს, ეს მისი პირველი მატჩი იყო სერია A-ში, მას დიდი პოტენციალი აქვს. ჰამშიკი ჯერ ახალგაზრდაა და კიდევ შეუძლია მომატება. მან დაცვის უკეთ დახმარება უნდა ისწავლოს“.

კოკი კანდელაკი

ჯილარდინომ თოჯინებს გაუტანა

ჯანლუიჯი ბუფონმა (მარცხნივ) ალბერტო ჯილარდინო ვერ შეაჩერა

ტურინის „იუვენტუსის“ მთავარი მწვრთნელი კლაუდიო რანიერი ძალიან გააბრაზა იმ ფაქტმა, რომ 83-ე წუთზე ათი კაცით დარჩენილმა „ფიორენტინამ“ მაინც შეძლო ანგარიშის გათანაბრება და „ბებერ ქალბატონს“ თითქმის მოგებულმა თამაშმა მხოლოდ ქულა მოუტანა.

„ხშირად ფრე მისაღებია, მაგრამ ზოგჯერ — ძალიან საწყენი. თამაშს ვაკონტროლებდით და ამაურისა და ალესანდრო დელ პიეროს რამდენჯერმე შეეძლოთ ყველაფრის მომთავრება. „იუვეს“ დარმა გამოცდილმა კლუბმა „ფიორენტინას“ ამდენი შანსი არ უნდა მისცეს, როცა მეტოქე ათი კაცითაა, ბოლო წუთებში თოჯინებივით ვიყავით. სხვას ვერაფერს იტყვი, როცა მოწინააღმდეგეს დამატებაზე თამაშის საშუალებას აძლევ, ახლო მანძილიდან კარში არტყმევინებ და ასე შემდეგ. ალბერტო ჯილარდინომ ასეთი მომენტების გამოყენება კარგად იცის და გამოიყენა კიდეც“ — აღნიშნა რანიერიმ.

საინტერესოა, რომ თავად მწვრთნელმაც ერთი საკამათო გადაწყვეტილება მიიღო: როცა „იები“ ათი კაცით დარჩნენ, მან თამაშიდან ნახევარმცველი, კერძოდ მაურო კამორანეზი მოხსნა და თავდამსხმელი, ვინჩენცო იაკვინტა შეუშვა.

„კამორანეზიმ შეცვლა მთხოვა, რადგან მცირე ტრავმამ შეაწუხა. მეც იაკვინტა შევუშვი, რათა მენიშნებინა, რომ საქმის ბოლომდე მიყვანის ძალა გვაქვს. თუმცა გოლი აქეთ გაგვიტანეს და გეგმა ჩაიშალა. თუმცა მაინც მშვიდად ვარ, რადგან ვიცი, რამდენიმე კარგი ფეხბურთელი დავიმატეთ და გუნდი მშვენივრად გამოიყურება, თან არაერთი წამყვანი მოთამაშის გარეშე“ — დასძინა რანიერიმ.

შეგახსენებთ, რომ „ბიანკონერის“ მოჰამედ სისოკო, კრისტიან ძანეტი, მარკო მარკიონი, ჯორჯო კიელინი და დავიდ ტრეზეგე აკლდა.

„თამაშს კარგად ვაკონტროლებდით, მით უმეტეს, პაველ ნედვედის გოლის მერე, მეტოქე კი გამტანი არ ჩანდა. ალბათ ზედმეტად მოვდუნდით, გული ძალიან მწყდება, რომ ვერ მოვიგეთ. ჩვენ სკუდეტოსთვის ვიბრძოლებთ, „ფიორენტინაზე“ იგივეს ვერ ვიტყვი. „იებს“ ჯერ კიდევ ახალგაზრდული გუნდი ჰყავთ და ჩამოსაყალიბებლად 2-3 სეზონი სჭირდებათ. თუმცა ოთხეულზე მათ ექნებათ პრეტენზია“ — განაცხადა კამორანეზიმ.

„იუვეს“ მცველი ნიკოლა ლეგროტალიე: „ძალიან დამწუხრებულები ვართ, ბოლო წუთზე რომ გავუშვით გოლი. გვგონია, რომ წავაგეთ. როცა ფლორენციელები ათი კაცით დარჩნენ, ყურადღება ოდნავ მოვადუნეთ და ჯილარდინომ დაგვსაჯა კიდეც“.

„ძალიან ბედნიერი ვარ და მინდა, მადლობა გადავუხადო ყველას, ფანებს, მწვრთნელსა და თანაგუნდელებს. თავს კარგად ვგრძნობ, როგორც ფიზიკურად, ასევე მორალურად. გოლის აღნიშვნა ყოველთვის სასიამოვნოა, მაგრამ საკუთარი ქომაგების თვალწინ — მით უმეტეს. მომენტები კიდევ მქონდა და ცუდია, რომ მეტი ვერ გავიტანე. მოგებაც შეგვეძლო. ჩეზარე პრანდელი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. მან ჯერ „პარმაში“ გამომზარდა, ახლა კი აქ მომცა შანსი და ძალიან მადლიერი ვარ“ — თქვა ჯილარდინომ.

ჩეზარე პრანდელი: „მორალური თვალსაზრისით, ეს გამარჯვების ტოლფასია, ყველა გარემოებას თუ გავითვალისწინებთ. ძალა, ფაქტობრივად, აღარ გვქონდა დარჩენილი და ბიჭები ნამდვილად იმსახურებენ ტკბილ სიტყვებს, ისინი რწმენას არასოდეს კარგავენ. თანაბრად ვეთამაშეთ ბრწყინვალე გუნდს. თან ადრიან მუტუ და რიკარდო მონტოლივო არ გვყავდა, რამდენიმე მოთამაშე კი დავასვენე, რადგან სულ რაღაც სამი დღის წინ გვქონდა მატჩი და დაღლილი ფეხბურთელები არ მინდოდა. მთელი სეზონის განმავლობაში მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება მომიწევს, რადგან დატვირთული კალენდარი გვაქვს. კიდევ ერთხელ დავამტკიცეთ, რომ კარგი გუნდი გვყავს, მაგრამ უნდა მოვუმატოთ, განსაკუთრებით პასების თვალსაზრისით“.

გიორგი კაკაბაძე

მარცხით დაწყებული ოპტიმიზმი

რონალდინიო

ამ სეზონში „მილანისგან“ ყველა ბევრს ელის, მაგრამ კარლო ანჩელოტის გუნდმა სერია A „ბოლონიასთან“ სენსაციური საშინაო მარცხით დაიწყო. „როსონერის“ ბევრ ქომაგს ალბათ უსიამოვნოდ გაახსენდა გასული სეზონი და „როსობლუსთან“ ეს მარცხი ძველი სცენარის გაგრძელებად მოეჩვენა. ასეა თუ ისე, ანჩელოტი ოპტიმისტურ განწყობაზეა და ირწმუნება, ყველაფერი კარგად იქნებაო.

რა იქნება და როგორ, მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ახლა ფაქტია, რომ რონალდინიოს დებიუტი ჩაუშწარდა და კლუბში დაბრუნებული ანდრეი შევჩენკოს ფეხიც ვერ აღმოჩნდა ბედნიერი.

„ცოტა უცნაური მატჩი იყო. თუმცა ვფიქრობ, სეზონის დასაწყისში ბევრი მოულოდნელი შედეგი დაფიქსირდება. გუნდები ჯერ ფორმაში არ არიან, ტემპის აკრეფა სჭირდებათ. არ ვთვლი, რომ ცუდად ვითამაშეთ ან რომელიმე რგოლი ჩავარდა. 90 წუთი ვუტევდით, მაგრამ „ბოლონიამ“ ორი მომენტი შექმნა და ამით დაგვსაჯა. ცხადია, ახალწვეულებს კიდევ უნდათ დრო გუნდში კარგად ჩასაწერად და სხვადასხვა ტაქტიკური მონახაზებიცაა მოსასინჯი. შთაბეჭდილება ისეთი დამრჩა, რომ ამ შემადგენლობას დიდი წარმატებების მიღწევა შეუძლია“ — თქვა ანჩელოტიმ.

სხვათა შორის, „მილანმა“ „ბოლონიასთან“ „რომას“ მსგავსად, 4-2-3-1-თ ითამაშა. მინდორზე შევჩენკოს შესვლის შემდეგ, ის და კლარენს ზეედორფი ფილიპო ინძაგის ფლანგებიდან ეხმარებოდნენ, რონალდინიო კი, „სუპერპიპოს“ უკან, გამთამაშებლობით იყო დაკავებული.

კარლო ანჩელოტი: „მეორე ტაიმი ბრწყინვალედ დავიწყეთ და ეს ოპტიმიზმის საფუძველს მაძლევს. 4-2-3-1 სისტემაზე ნამდვილად უნდა ვიმუშაოთ. დაცვაში ხარვეზები გამოვასწორეთ, რაც მეტოქის ნახევარზე თამაშის გადატანის საშუალებას გვაძლევს. თუ გაითვალისწინებთ იმას, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში შევჩენკოს თითქმის არ უთამაშია, მას გარკვეული დრო სჭირდება სათანადოდ ასათამაშებლად“.

„ძალიან დიდი მადლობა უნდა გადავუხადო ფანებს გულთბილი დახვედრისთვის. ამან ძალიან იმოქმედა ჩემზე, ახლა დამატებითი მოტივაციაც მექნება. მატჩის ასეთ განვითარებას კი ნამდვილად არ ველოდი. ბევრი მომენტი შევქმენით და მაინც წავაგეთ. თუმცა მომავალ ტურში უკეთ ვითამაშებთ და იმედია, გოლსაც გავიტან“ — განაცხადა შევჩენკომ.

„ბოლონიას“ პრეზიდენტი ალფრედო კაცოლა: „ეს ექსტრაორდინარული მატჩი იყო. კომპლიმენტები ეკუთვნით ფეხბურთელებსა და მწვრთნელს. ბრწყინვალედ გავისარჯეთ და ორი მშვენიერი გოლი გავიტანეთ. იმაზე უკეთეს შედეგს მივაღწიეთ, ვიდრე ველოდით. ეს ალბათ ჩემი ბოლო მატჩია კლუბის პრეზიდენტის რანგში და გამოსამშვიდობებლად უკეთეს საჩუქარს ვერ მივიღებდი“.

გიორგი კაკაბაძე

ტაქსინ შინავატრა „სიტის“ საპატიო პრეზიდენტობას დასჯერდა

არაბული ჯეკ პოტი

„მანჩესტერ სიტიმ“ ჯეკ პოტი მოხსნაო, ხუმრობენ ინგლისელი ჟურნალისტები — პრემიერლიგის კლუბი, სრულიად მოულოდნელად, არაბულმა საინვესტიციო ჯგუფმა იყიდა.

მყიდველს ძალიან თუ მოვაქართულებთ, ასე ჰქვია: „განვითარებისა და ინვესტიციების აბუ დაბის გაერთიანებული ჯგუფი“. მას მოკლედ ADUG-ს ეძახიან და სწორედ ამ ორგანიზაციამ გააფორმა კვირა-ღამით ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება ისტლენდერების აწ უკვე ყოფილ მეპატრონესთან ტაქსინ შინავატრასთან.

კლუბის ახალ მეპატრონეებს, კერძოდ „ჰიდრა პროპერტის“ აღმასრულებელი შეფი დოქტორი სულეიმან ალ ფაჰიმი წარმოადგენს.

„დეტალებს მომავალში გამოვამზეურებთ, მანამდე კი იმას მოგახსენებთ, რომ ჩვენს შორის ორივე მხარისთვის მატად სასარგებლო გარიგება შედგა. მიზანი მარტივი გვაქვს: „მანჩესტერ სიტი“ პრემიერლიგის უდიდეს კლუბად უნდა ვაქციოთ. მიზნისკენ სვლა კი ამ სეზონშივე პრემიერლიგის ოთხეულში შესვლით უნდა დავიწყოთ“ — განაცხადა ალ ფაჰიმიმ.

მოგეხსენებათ, ტაქსინ შინავატრას ხელში (ტაილანდის ყოფილი პრემიერი „სიტის“ საპატიო პრეზიდენტად დარჩება), მანჩესტერული გუნდის ბედი გაურკვეველი რჩებოდა, რადგან შინავატრას ჰონკონგში ანგარიშები გაუყინეს.

პაპუნა კედია

რობერტო სენსინი: მინდა, დაუსრულებლად განვვითარდე

რობერტო ნესტორ სენსინის კარიერა ორ ათწლეულს გადასწვდა. ამ ხნის განმავლობაში არგენტინელმა ვარსკვლავმა სახელი თავისი ქვეყნის ეროვნულ გუნდში თამაშითაც გაითქვა და საკლუბო დონეზეც არ გამოსჩენია დამწუნებელი. სენსინი გახლდათ მსოფლიოს სამი ჩემპიონატისა და ოლიმპიადის მონაწილე, ხოლო როგორც „ნიუელს ოლდ ბოიზის" მოთამაშემ თავიდან არგენტინის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, შემდეგ კი იტალიაში გადაბარგდა.
ამ ქვეყანაში სენსინიმ თექვსმეტი წელიწადი გაატარა. „პარმას" შემადგენლობაში მან ორჯერ უეფას და ორჯერაც ადგილობრივი თასი მოიპოვა, რის შემდეგაც „ლაციოში" გადავიდა და სერია A-ს ჩემპიონიც გახდა.
სენსინიმ ფეხბურთის თამაშს თავი 40 წლისამ დაანება.
ამ ამბიდან ორი წლის შემდეგ კი, მას მერე, რაც ცოტა ხანი „უდინეზეს" სათავეშიც მოსინჯა ძალა, რობერტო ნესტორ სენსინი „ესტუდიანტესის" მწვრთნელია. ის უკვე ცხრა თვეა, ამ თანამდებობაზე მუშაობს და თავის შთაბეჭდილებებს fifa.com-ის კორესპონდეტს უზიარებს...

— რობერტო, არგენტინაში მწვრთნელებისგან მყისიერ წარმატებას ელიან. როგორ უძლებთ ასეთ ზეწოლას?

— შეჩვეული გახლავართ. გასული სეზონი ჩვენთვის ძალიან კარგი იყო. მესამე ადგილზე გავედით, რის გამოც დიდი ქება-დიდებაც დავიმსახურეთ, მაგრამ იმაში, რომ რომ მწვრთნელებს მყისიერ წარმატებას მხოლოდ აქ, არგენტინაში სთხოვენ, ვერ დაგეთანხმებით. დახეთ, რა ხდება, მაგალითად, ინგლისში, სადაც თითქოსდა ყველაფერი ცოტა სხვანაირად არის მოწყობილი. „ჩელსის" მწვრთნელი ავრაამ გრანტი ჩემპიონის ტიტულისთვის ბოლო ტურამდე იბრძოდა, ჩემპიონთა ლიგაში კი ფინალში გავიდა, მაგრამ მაინც მოხსნეს. იტალიაში „ინტერმა" ჩემპიონის ტიტული მოიგო, რობერტო მანჩინი კი გუნდს სათავეში აღარ უდგას. ჩვენთანაც აშკარაა, რომ მწვრთნელს თავის გამოჩენისა და დამკვიდრებისთვის სულ რამდენიმე კვირა აქვს გამოყოფილი. ხშირად საქმე ცუდად სწორად ამ სიჩქარის გამო მიდის, მაგრამ არა მგონია, არგენტინელი მწვრთნელები და ფეხბურთელები ეპოქას ფეხს ვერ უწყობდნენ.

— მწვრთნელობასა და ფეხბურთელობას შორის ყველაზე დიდი განსხვავება რა არის?

— მწვრთნელი, როგორც კი ერთი თამაში დასრულდება, მეორესთვის იწყებს მზადებას. იმწუთას უნდა დაფიქრდეს, როგორ არიან ბიჭები და უამრავი რამ გაითვალისწინოს, უამრავი ამოცანა ამოხსნას, რათა შემდეგ მატჩს მაქსიმალური მზადყოფნით შეხვდეს. ფეხბურთელობისას საკუთარ თავზე ფიქრობ და სულ ეს არის.

— თქვენ დიდ არგენტინელ მწვრთნელებთან გიმუშავიათ. მათ შორის იყვნენ მარსელო ბიელსა, კარლოს ბილარდო და დანიელ პასარელა. ვინ დატოვა ყველაზე დიდი შთაბეჭდილება?

— რომელიმეს გამოყოფა მიჭირს, რადგან თითოეულმა მათგანმა რაღაც გამორჩეული მასწავლა, თუმცა ბიელსა და ბილარდო მაინც ცალკე დგანან. მაგალითად, კარლოსმა ამიხსნა, როგორ უნდა ითამაშო დაცვის ნებისმიერ პოზიციაზე, რაც იტალიაში გამომადგა. საერთოდ, როგორ დაიმახსოვრებ მასწავლებლების გაკვეთილებს და როგორ გაავრცელებ ცოდნას საკუთარ მოსწავლეებში, შენზეა დამოკიდებული, მაგრამ მე მაინც ყველა ჩემი პედაგოგის მადლობელი ვარ. მადლობელი ვარ მათიც, ვისი სახელიც პოპულარული არ არის.

— მოდი, იმ მსოფლიო ჩემპიონატებს დავუბრუნდეთ, რომლებშიც პირადად მიიღეთ მონაწილეობა. რას გაიხსენებდით 1990 წლის მუნდიალიდან?

— უამრავი პრობლემა გვქონდა, მაგალითად, დიეგო მარადონას ტრავმა. დიეგოს კოჭი მართლაც ცუდ დღეში ჰქონდა. დაშავებული იყო ხორხე ბურუჩაგაც. სამწუხაროდ, იმ პირველობაზე 1986 წლის მსგავსად ჩემპიონები ვერ გავხდით და არც ისე ლამაზად ვთამაშობდით, როგორც 1994 წლის არგენტინამ ითამაშა, მაგრამ, თუ გახსოვთ, ფინალისკენ გზად ბრაზილიასაც მოვუგეთ და მასპინძელ იტალიასაც. ფინალში, საფინალო სასტვენამდე ექვსი წუთით ადრე პენალტის გაშვება ძალიან გულდასაწყვეტი გამოდგა.

— პენალტი რუდი ფიოლერთან თქვენი ორთაბრძოლის გამო დაინიშნა. ეს ეპიზოდი გულში ტკივილად ხომ არ დაგრჩათ?

— არა, დიდხანს არ გამყოლია, რადგან საკუთარი თავი დავძლიე. მეტიც, დღემდე მწამს, რომ იქ პენალტი არ უნდა დანიშნულიყო, მაგრამ მსაჯმა ედუარდო კოდესალმა ჩათვალა, რომ უნდა ჩაესტვინა. ფაქტი ერთია, დღეს ამაზე კამათს აზრი აღარ აქვს. ბევრმა რადიოპროგრამამ სცადა ჩემი და მისი საუბრის პირდაპირ ეთერში მოწყობა, მაგრამ, ვიმეორებ, ამას აზრი არა აქვს, რადგან ყველა მაინც საკუთარ აზრზე დარჩება. რაც მოხდა, უნდა დავივიწყოთ და ცხოვრება გავაგრძელოთ.

— 1994 წელს მარადონას დისკვალიფიკაციამდე არგენტინამ დიდებული ფეხბურთი ითამაშა. რატომ ვერ დაძლია გუნდმა მისი დაკარგვა?

— დიეგო რომ დავკარგეთ, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს ვიღაცამ ოთახში სინათლე გამოგვირთო. აქ მარტო ის კი არ იყო მთავარი, რომ მარადონა უშუალოდ თამაშის დროს იყო მნიშვნელოვანი, მისი ფაქტორი მეტოქეებზე მოქმედებდა. როდესაც დიეგო არ იყო, მეტოქეები სულ სხვანაირად გვეთამაშებოდნენ.

— და, რა მოხდა 1998 წელს საფრანგეთში?

— ჩვენ კიდევ ერთ ფანტასტიკურ მატჩში დავმარცხდით. ჰოლანდიამ თამაშის მიწურულს მოგვიგო, მაგრამ იოლად შეიძლებოდა, ყველაფერი ჩვენს სასარგებლოდ დასრულებულიყო.

— ახლა კი მომავალზე ვთქვათ. როგორ ფიქრობთ, როგორ ითამაშებს არგენტინის ნაკრები მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე?

— თუ გავიხსენებთ, როგორ მოიგო არგენტინამ ოლიმპიური ოქრო პეკინში, შეიძლება დავასკვნათ, რომ ბირთვი ცნობილია.

— და მესი ის კაცია, ვინც გუნდს ისე გაუძღვება, როგორც 1986 წელს მარადონა?

— მესის მარადონობას ნუ მოვთხოვთ, იმიტომ, რომ დიეგო ერთია. მესი მას აშკარად უახლოვდება, მაგრამ, ვფიქრობ, ვერასოდეს გაუტოლდება. პირიქით, ასეთმა შედარებამ, შესაძლოა, უარყოფითი დაღი დაასვას.

— დაბოლოს, როგორც მწვრთნელი, რაზე ოცნებობთ?

— მინდა დაუსრულებლად განვვითარდე. შეიძლება, საქმე კარგად ან ცუდად წავიდეს, მაგრამ მინდა, საბოლოოდ საკუთარი ხელწერა მქონდეს.

ნენე ესპანიოლში იჯარით

ფრანგული „მონაკოს" ბრაზილიელი ნახევარმცველი ნენე ბარსელონის „ესპანიოლში" ერთწლიანი იჯარით გადაბარგდა. ამასთან ესპანელებს სეზონის დასრულების შემდეგ ფეხბურთელის ტრანსფერის სრულად გამოსყიდვის საშუალება ექნებათ. ნენეს უკვე აქვს პრიმერადივიზიონში გამოსვლის გამოცდილება, ადრე იგი „სევილიას", „სელტასა" და „ალავესის" ღირსებას იცავდა, მონეგასკების შემადგენლობაში კი 27 თამაშში 5 გოლი გაიტანა.

კერბიშლიმ გრინი შეაქო

ლონდონის „ვესტ ჰემის" მთავარმა მწვრთნელმა ალან კერბიშლიმ პრემიერლიგის მესამე ტურში „ბლექბერნთან" 4:1 მოგებული მატჩის შემდეგ თავისი გოლკიპერი რობერტ გრინი შეაქო. „ჩაქუჩების" დამრიგებლის თქმით, რობერტმა უკვე დაიმსახურა ინგლისის ნაკრების მეკარეობა.

„რობერტმა ტურიდან ტურამდე ასეთი კარგი გამოსვლა უნდა გააგრძელოს და, დარწმუნებული ვარ, ეს უყურადღებოდ არ დარჩება" — განაცხადა ინგლისელმა სპეციალისტმა.

შეთანხმება

ლონდონის „ტოტენჰემი" და მოსკოვის „სპარტაკი" რომან პავლიუჩენკოს თაობაზე შეთანხმდნენ. ტრანსფერის ღირებულება არ სახელდება, თუმცა, გავრცელებული ინფორმაციით, „დეზები" რუსი თავდამსხმელის შეძენას 15-16 მილიონ ევროდ აპირებდნენ. პავლიუჩენკო 2006 და 2007 წლებში რუსეთის პრემიერლიგის საუკეთესო ბომბარდირი ხდებოდა, მიმდინარე გათამაშებაში კი 14 თამაშში უკვე 6 გოლი გაიტანა.

მენეზი გლადიატორია

ახალგაზრდა ფრანგი შემტევი ნახევარმცველი ჟერემი მენეზი იტალიურ „რომაში" გადაბარგდა. „მონაკო" და „რომა" 21 წლის ფეხბურთელის თაობაზე უკვე შეთანხმდნენ, ოღონდ ტრანსფერის ღირებულება ოფიციალურად არ სახელდება, თუმც, გავრცელებული ინფორმაციით, მონეგასკებმა რომაელებისგან 12 მილიონი გირვანქა მიიღეს.

მენეზი „მონაკოს" რიგებში 2006 წელს ჩაირიცხა და მას შემდეგ ყველა ტურნირში, 64 მატჩში 14 გოლის გატანა მოახერხა.

ვედრანი გაფორმდა

ხორვატიის ნაკრების მარჯვენა მცველი ვედრან ჩორლუკა „მანჩესტერ სიტიდან" „ტოტენჰემ ჰოთსპურში" გადავიდა. ეს მას შემდეგ გახდა შესაძლებელი, რაც „ქალაქელთა" რიგები „ესპანიოლის" მცველმა პაბლო საბალეტამ შეავსო.

„მოხარული ვარ, რომ ისეთ ამბიციურ კლუბში გადმოვედი, სადაც ბევრი კარგი მოთამაშე გამოდის. თანაც აქ ჩემი საუკეთესო მეგობარი ლუკა მოდრიჩი თამაშობს" — განაცხადა ვედრანმა.

ვეფხვებმა მცველი დაიმატეს

ინგლისურმა „ჰალ სიტიმ", რომელიც პრემიერლიგის ბოლო ტურში საკუთარ მოედანზე „უიგან ატლეტიკთან" განადგურდა, შვეიცარიული „იანგ ბოიზიდან" მცველი ქამილ ზაიათი იჯარით აიყვანა. 23 წლის გვინეელი ფეხბურთელი „ვეფხვებთან" სეზონის ბოლომდე დარჩება. ამით ზაიათი ამ ზაფხულს „ჰალის" მეცხრე შენაძენი გახდა.

რუსენბორგის ორი შენაძენი

ნორვეგიელმა „რუსენბორგმა" სატრანსფერო ფანჯრის დახურვის წინ ორი ფეხბურთელის შეძენა მოასწრო. პირველი შვედეთის ნაკრების მცველი მიკაელ დორსინია, რომელიც ტრონჰეიმულ კლუბში 2004-2007 წლებში თამაშობდა და 76 მატჩში 5 გოლის გატანა შეძლო. შემდეგ შვედი რუმინულ „კლუჟში" გადაბარგდა, სადაც კარიერა ვერ აიწყო და „რუსენბორგში" დაბრუნდა.

ნორვეგიელთა მეორე შენაძენი განელი ენტონი ანანია. იგი ტრონჰეიმში ასევე ნორვეგიული „სტარტიდან" გადავიდა, რომელიც გასულ სეზონში ქვედა დივიზიონში გავარდა.

ები რიბოკზე გაუშვეს

პოლონეთის ნაკრების თავდამსხმელი ები სმოლიარეკი იჯარის წესით პრემიერლიგის „ბოლტონში" გადავიდა. სანტანდერის „რასინგის" ფეხბურთელი ინგლისურ კლუბში ერთი სეზონით დარჩება. კონტრაქტის მიხედვით, „უონდერერსს" იჯარის ვადის ამოწურვის შემდეგ სმოლარეკის გამოსყიდვის უფლება არ ექნება. პოლონელი შემტევი პრიმერადივიზიონში გადასვლამდე ბუნდესლიგურ „დორტმუნდში" გამოდიოდა.

სტოკმა სონკო შეიძინა

პრემიერლიგის დებიუტანტმა „სტოკ სიტიმ" ჩემპიონლიგაში დაქვეითებული „რედინგიდან" იბრაჰიმ სონკო გადაიბირა. მცველმა ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა, „სტოკს" კი მისი ტრანსფერი ორი მილიონი გირვანქა დაუჯდა.

არჩილ კოტგანიძე

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ინგლისი. კონფერენსი						
		2 სექტემბერი						
22:45	355	ბაროუ-რაშდენი	2.40	3.30	2.55	1.38	1.23	1.43
22:45	356	ქროული-გრეისი	1.85	3.40	3.60	1.19	1.22	1.74
22:45	357	ისტბორნი-ფორესტ გრინი	2.55	3.20	2.45	1.41	1.24	1.38
22:45	358	ებსფლითი-კემბრიჯი	2.30	3.20	2.75	1.33	1.25	1.47
22:45	359	ჰისტონი-ალტრინჰემი	1.75	3.50	3.80	1.16	1.19	1.82
22:45	360	კეტერინგი-სტივენეიჯი	2.35	3.20	2.60	1.35	1.23	1.43
22:45	361	ნორთვიჩი-ოქსფორდი	2.55	3.30	2.45	1.43	1.24	1.40
22:45	362	სალისბერი-ვეიმუთი	1.95	3.40	3.25	1.23	1.21	1.66
22:45	363	უოკინგი-ლეი	1.75	3.50	4.00	1.16	1.21	1.86
22:45	364	რექსემი-ბარტონი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
22:45	365	იორკი-მენსფილდი	2.25	3.20	2.85	1.32	1.25	1.50
		4 სექტემბერი						
22:45	366	კიდერმინსტერი-ტორკი	2.20	3.20	2.90	1.30	1.25	1.52
		ინგლისი. კონფერენსი სამ						
		2 სექტემბერი						
22:45	367	ბეისინგსტოკი-უორჩესტერი	2.55	3.40	2.30	1.45	1.20	1.37
22:45	368	ბეთი-ჰეიესი	2.15	3.50	2.70	1.33	1.19	1.52
22:45	369	ბოგნორი-უელინგი	3.10	3.40	1.95	1.62	1.19	1.23
22:45	370	ბრაინთრი-უიმბლდონი	2.55	3.40	2.30	1.45	1.20	1.37
22:45	371	ბრომლი-ჩემსფორდი	2.55	3.50	2.30	1.47	1.20	1.38
22:45	372	დორჩესტერი-თიმ ბეთი	2.75	3.40	2.20	1.52	1.22	1.33
22:45	373	სტ ალბანსი-ბიშოპი	2.30	3.40	2.55	1.37	1.20	1.45
22:45	374	თაროკი-ჰემპტონი	3.10	3.40	1.95	1.62	1.19	1.23
		3 სექტემბერი						
22:45	375	ნიუპორტი-ჰევანტი	2.45	3.40	2.40	1.42	1.21	1.40
		ინგლისი. კონფერენსი ჩრდ						
		2 სექტემბერი						
22:45	376	ალფრეტონი-ტემუორთი	2.30	3.40	2.55	1.37	1.20	1.45
22:45	377	ბლითი-ჰაიდი	2.15	3.40	2.70	1.31	1.19	1.50
22:45	378	ბარსკო-ვაუქსჰალი	1.85	3.40	3.50	1.19	1.21	1.72
22:45	379	ფლითვუდი-გეითშეიდი	1.90	3.40	3.25	1.21	1.19	1.66
22:45	380	ჰეროგეიტი-ტელფორდი	2.15	3.50	2.70	1.33	1.19	1.52
22:45	381	რედიჩი-ჰაკნალი	1.95	3.50	3.10	1.25	1.19	1.64
22:45	382	სტეფორდი-კინგს ლინი	2.05	3.40	2.90	1.27	1.20	1.56
22:45	383	სტელიბრიჯი-სოლიჰალი	1.55	3.50	5.50	1.07	1.20	2.13
		შოტლანდია. I დივიზიონი						
		3 სექტემბერი						
22:45	123	ქუინი-როსი	1.75	3.50	3.85	1.16	1.20	1.83
		პორტუგალია . სუპერლიგა						
		2 სექტემბერი						
00:15	195	ბრაგა-სპორტინგი	3.10	3.10	2.25	1.54	1.30	1.30
		შვედეთი . სუპერეტა						
		2 სექტემბერი						
21:00	221	ფალკენბერგი-იორგრიტე	2.70	3.30	2.40	1.48	1.27	1.38
		მზ. შესარჩევი მატჩები						
		6 სექტემბერი						
17:00	1	მაკედონია-შოტლანდია	3.00	3.20	2.15	1.54	1.25	1.28
18:00	2	უელსი-აზერბაიჯანი	1.30	4.30	9.00	1.00	1.13	2.90
22:00	3	პოლონეთი-სლოვენია	1.45	3.70	7.00	1.04	1.20	2.42
19:30	4	სლოვაკეთი-ჩრდ. ირლანდია	1.95	3.20	3.70	1.21	1.27	1.71
20:00	5	მოლდოვა-ლატვია	2.10	3.20	3.20	1.26	1.26	1.60
20:00	6	სომხეთი-თურქეთი	8.00	4.20	1.35	2.75	1.15	1.02
22:00	7	მალტა-პორტუგალია	17.00	7.50	1.08	5.20	1.01	1.00
22:15	8	ხორვატია-ყაზახეთი	1.06	8.00	25.00	1.00	1.01	6.06
21:00	9	ნორვეგია-ისლანდია	1.35	4.10	8.00	1.01	1.15	2.71
21:00	10	უკრაინა-ბელარუსი	1.40	3.90	8.50	1.03	1.20	2.67
21:45	11	უნგრეთი-დანია	3.30	3.25	2.00	1.63	1.24	1.23
20:00	12	ისრაელი-შვეიცარია	2.35	3.10	2.80	1.33	1.27	1.47
22:15	13	ლუქსემბურგი-საბერძნეთი	19.00	8.50	1.07	5.87	1.01	1.00
22:45	14	ლიხტენშტაინი-გერმანია	25.00	10.00	1.03	7.14	1.00	1.00
22:00	15	ანდორა-ინგლისი	40.00	10.00	1.02	8.00	1.00	1.00
22:00	16	რუმინეთი-ლიტვა	1.30	4.50	10.00	1.00	1.15	3.10
22:15	17	სერბეთი-ფარერები	1.02	11.00	30.00	1.00	1.00	8.04
22:00	18	ჩერნოგორია-ბულგარეთი	4.30	3.40	1.70	1.89	1.21	1.13
22:45	19	ავსტრია-საფრანგეთი	5.50	3.50	1.55	2.13	1.20	1.07
22:45	20	ბელგია-ესტონეთი	1.25	4.70	11.00	1.00	1.12	3.29
20:45	21	ალბანეთი-შვედეთი	5.80	3.50	1.55	2.18	1.22	1.07
22:45	22	კვიპროსი-იტალია	12.00	6.20	1.15	4.08	1.04	1.00
23:00	54	არგენტინა-პარაგვაი	1.40	4.00	7.80	1.03	1.18	2.64
		7 სექტემბერი						
00:00	23	ესპანეთი-ბოსნია ჰერცოგოვინა	1.20	5.20	12.00	1.00	1.09	3.62
01:10	56	ეკვადორი-ბოლივია	1.45	3.80	6.85	1.04	1.19	2.44
		8 სექტემბერი						
04:00	60	ჩილე-ბრაზილია	3.50	3.10	1.95	1.64	1.25	1.19
		უეფა. ეჩ შესარჩევი მატჩები(21)						
		4 სექტემბერი						
22:45	340	შოტლანდია21-სლოვენია21	1.45	3.80	5.80	1.04	1.15	2.29
		5 სექტემბერი						
18:00	341	ბულგარეთი21-ირლანდია21	1.80	3.30	3.80	1.16	1.22	1.76
20:00	342	ფინეთი21-დანია21	3.20	3.10	2.10	1.57	1.26	1.25
20:00	343	საფრანგეთი21-მალტა21	1.02	8.00	15.00	1.00	1.00	5.21
21:00	345	ყაზახეთი21-ესპანეთი21	8.00	4.00	1.30	2.66	1.11	1.00
21:00	346	ხორვატია21-ალბანეთი21	1.15	5.50	14.00	1.00	1.06	3.94
22:00	347	ჰოლანდია21-ნორვეგია21	1.40	3.90	6.20	1.03	1.14	2.39
22:15	348	გერმანია21-ჩრდ ირლანდია21	1.15	5.50	13.00	1.00	1.05	3.86
22:15	349	ლუქსემბურგი21-ისრაელი21	15.00	6.00	1.10	4.28	1.02	1.00
22:30	350	ავსტრია21-ისლანდია21	1.40	3.70	6.90	1.01	1.16	2.40
22:30	351	სან მარინო21-ლატვია21	17.00	6.00	1.11	4.43	1.04	1.00
22:30	352	სლოვაკეთი21-ბელგია21	2.15	3.10	3.00	1.26	1.25	1.52
22:30	353	ინგლისი21-პორტუგალია21	2.05	3.10	3.60	1.23	1.30	1.66
23:00	354	იტალია21-საბერძნეთი21	1.35	3.70	8.50	1.00	1.16	2.57
		ინგლისი. Johnstone's Paint Trophy						
		2 სექტემბერი						
22:00	73	ქრიუ-მაკლესფილდი	1.50	3.40	6.00	1.04	1.20	2.17
22:00	74	ჰარტლპული-ლესტერი	2.50	3.40	2.30	1.44	1.19	1.37
22:00	75	ტრანმერე-აკრინგტონი	1.55	3.40	5.50	1.06	1.20	2.10
22:15	76	სტოკპორტი-პორტ ვეილე	1.80	3.40	3.60	1.17	1.20	1.74
22:30	77	სკანთორპი-ნოტსი	1.50	3.40	6.00	1.04	1.20	2.17
22:30	78	ბრენტფორდი-იოვილი	2.30	3.40	2.50	1.37	1.19	1.44
22:45	79	ლიდსი-ბრედფორდი	1.55	3.50	5.00	1.07	1.18	2.05
22:45	80	ოლდემი-მორეკომბი	1.40	3.70	7.00	1.01	1.16	2.42
22:45	81	ალდერშოტი-სუინდონი	2.35	3.50	2.40	1.40	1.18	1.42
22:45	82	ბორნმუთი-როვერსი	2.50	3.40	2.30	1.44	1.19	1.37
22:45	83	დაგ ენდ რედი-ბარნეტი	1.75	3.40	4.00	1.15	1.21	1.83
22:45	84	ექსეტერი-შრიუსბერი	2.35	3.50	2.40	1.40	1.18	1.42
22:45	85	მილუელი-კოლჩესტერი	2.25	3.40	2.60	1.35	1.20	1.47
22:45	86	ნორთჰემპტონი-ბრაიტონი	2.30	3.40	2.50	1.37	1.19	1.44
22:45	87	ჩესტერფილდი-გრიმსბი	1.80	3.40	3.60	1.17	1.20	1.74
22:45	88	საუთენდი-ლეიტონი	1.85	3.40	3.50	1.19	1.21	1.72
		ხელბურთი. კაცები ავსტრიის ჩემპიონატი						
		2 სექტემბერი						
21:00	300	შვაცი-ბრეგენცი	4.70	12.00	1.20	3.37	1.00	1.09
		ხელბურთი. კაცები გერმანიის ჩემპიონატი						
		2 სექტემბერი						
22:15	313	გოპინგენი-გუმერსბახი	2.00	8.00	1.95	1.60	1.00	1.56
		3 სექტემბერი						
22:15	322	მაგდებურგი-ესენი	1.03	15.00	10.00	1.00	1.00	6.00
22:15	328	ჰამბურგი-ვეტცლარი	1.01	15.00	15.00	1.00	1.00	7.50
22:15	331	ბერლინი-სტრალსუნდერი	1.20	12.00	4.30	1.09	1.00	3.16
22:15	334	ლემგო-მელსუნგენი	1.05	12.00	8.00	1.00	1.00	4.80
22:15	337	ნორდჰორნი-მინდენი	1.03	12.00	12.00	1.00	1.00	6.00

შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

მანუჩარ კვირკველია



რევაზ მინდორაშვილი

სპორტული ჯაჭვი

გუშინ, მთელ საქართველოში და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ათასობით ადამიანმა ცოცხალი ჯაჭვი გააკეთა და ამგვარად გამოხატა პროტესტი რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ.

აქციაში ქართველი სპორტსმენებიც მონაწილეობდნენ. მათ ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელ გზასთან გააკეთეს ცოცხალი ჯაჭვი და შეუერთდნენ საერთო პროტესტს. ვის არ ნახავდით იქ — დამწყებ, მოქმედ, თუ ვეტერან სპორტსმენებს, სხვადასხვა დროის ოლიმპიურ ჩემპიონ-პრიზიორებს, მწვრთნელებს, მსაჯებს, გულშემატკივრებს... ყველას, ვისი გულიც ქვეყნის ტკივილით არის სავსე და ამ ფორმით ცდილობდა წვლილის შეტანას საერთო საქმეში...

სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე **დავით ნამგალაურმა** ეს გვითხრა: „იმ ამბების მერე, რაც საქართველოში დატრიალდა, საჭიროა, რომ საერთაშორისო საზოგადოებას გავაგებინოთ, ჩვენს ქვეყანაში რუსეთმა ანექსია მოაწყო. ყველა ფეხზე უდა დადგეს რუსული აგრესიის შესაჩერებლად. ამ თვალსაზრისით, დღევანდელი აქცია ძალიან მნიშვნელოვანია“.

რევაზ მინდორაშვილი: „როდესაც გავიგე, ასეთი რამე ხდებოდა, იმ წამსვე გადავწყვიტე, მონაწილეობა მეც მიმეღო და ჩემს ხალხთან დავმდგარიყავი. დღეს საქართველომ თავისი ხალხის ერთად დგომით მთელ მსოფლიოს უნდა დაანახოს, რამდენად ძლიერი და გაუტეხელი ერი ვართ.

ქართველი ხალხი ყოველთვის იმსახურებს ყველაფერ საუკეთესოს. იმედია, ამაში ევროპის ქვეყნებიც დაგვეხმარებიან„.

ლუკა კურტანიძე: „დღეს მთელი საქართველო ერთიანია, ამ აქციის მთავარი ამოცანაც სწორედ ეს იყო, ყველას უნდა დავანახოთ ჩვენი ქვეყნის ერთიანობა. საერთოდ, როდესაც ქართველი ხალხი ერთიანია, მაშინ მისი დამარცხება წარმოუდგენელია, რადგან ძალიან ძლიერი ერი ვართ. ჩვენი დღევანდელი აქციით უნდა დავანახოთ მსოფლიოს, უნდა ვუბიძგოთ მას საქართველოს მხარდაჭერისკენ“.

გია ნიჟარაძე (რაგბის კავშირის პრეზიდენტი): „ქართველი ხალხი დღეს ერთად დგომით გამოხატავს თავის მისწრაფებას ევროპისადმი, დასავლეთისადმი. ჩვენ დღევანდელი აქციით ვითხოვთ, ევროპამ მოგვცეს ჩვენი კუთვნილი ადგილი ევროპაში და რუსი ოკუპანტების ჯარები საქართველოდან გავიდნენ. დღემდე ქართველი ხალხი თავისი ნაბიჯებით ადასტურებს იმას, რომ ის არის ნამდვილად ევროპული ქვეყანა, უძველესი კულტურით.

სწორედ ამას ვერ ეგუება დღემდე რუსეთი და კიდევ ცდილობს ჩვენს დაპყრობას, ვერ მიხვდნენ, რომ არაფერი გამოუვათ. ახლა, როგორც არასდროს, რთულია საქართველოს დამარცხება, რადგან ქართველი ხალხი ერთიანია. ეს კი ძალიან ბევრს ნიშნავს“.

ლექსო მაისურაძე
გიორგი არაბული

ოლიმპიზმი

სეოკის პრეზიდენტობის მსურველები ჩაიხუთნენ

31 აგვისტოს სეოკში საპრეზიდენტო არჩევნებზე კანდიდატად დარეგისტრირების ბოლო დღე იყო. ამ ხნის მანძილზე სეოკის პრეზიდენტობაზე განაცხადი ხუთმა ადამიანმა გააკეთა: გია ნაცვლიშვილი (ძიუდოს ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი), ლევან ახვლედიანი (ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტი), ბეჟან ხურციძე (ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი), კახა ბასილია (კარატეს ფედერაციის პრეზიდენტი) და ლერი ხაბელოვი (სეოკის პირველი ვიცე-პრეზიდენტი).

სეოკის წევრები ახალ პრეზიდენტს 31 ოქტომბერს აირჩევენ. კენჭისყრა ფარული იქნება, ხოლო თუ ისე მოხდა რომ პრეზიდენტობის მსურველებმა საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს და მსურველი მხოლოდ ერთი დარჩა მაშინ პრეზიდენტს დელეგატები ღია კენჭისყრით აირჩევენ.

ნიკა ძოპაძე

სუმო


კოკაი

ტოჩინოშინი

ლევანი ადის, ლევანი ჩადის

დადგა სექტემბერი და იაპონიაში გამოქვეყნდა სუმოს ახალი ბანძუკე, უფრო მარტივად რომ ვთქვათ, რეიტინგი, რომელიც სხვადასხვა დივიზიონებში გადანაწილებული სუმოისტების წინსვლასა და უკუსვლას აჩვენებს.

ამ შემთხვევაში ჩვენთვის, უფრო საინტერესო და მნიშვნელოვანი, რა-ლა თქმა უნდა, უმაღლეს დივიზიონში მოასპარეზე ქართველი რიკიშების მდგომარეობაა. შეგახსენებთ, რომ უმაღლეს, მაკუჩი დივიზიონში ორი ჩვენებური სუმოისტი ჭიდაობს — ლევან ცაგურია (კოკაი) და ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი).

რეიტინგების გამოქვეყნებას იაპონიაში თავისი დრო აქვს, ყოველი ტურნირის დაწყებამდე ორი კვირით ადრე ცხადდება ხოლმე სპორტსმენების ახალი ადი-ჩადი. სექტემბრის ბაშო 14 რიცხვში უნდა დაიწყოს და, შესაბამისად, 1-ში უკვე გამოქვეყნდა ბანძუკე.

ქართველი სუმოისტებიდან ბოლო, ივლისის ბაშოზე გორგაძემ დადებითი ბალანსით დაასრულა შეჯიბრება, ცაგურიამ კი — უარყოფითით, რაც იმას ნიშნავდა, რომ პირველ მათგანს რეიტინგში დაწინაურება გარანტირებული ჰქონდა, მეორეს შემთხვევაში კი უკანდახევა გარდაუვალი იყო.

მართლაც ასე მოხდა. განახლებულმა რეიტინგმა, რომელიც გუშინ გამოქვეყნდა, გვიჩვენა, რომ ლევან გორგაძე დასავლეთის მე-14 მაეგაშირობიდან აღმოსავლეთის მე-10 მაეგაშირობამდე აღზევდა, ლევან ცაგურია კი, სამწუხაროდ, დასავლეთის მეათე მაეგაშირობიდან აღმოსავლეთის მეთექვსმეტე მაეგაშირობამდე ჩამოქვეითდა. ეს იმას ნიშნავს, რომ კოკაი კიდევ ერთი უარყოფითი ბალანსით დასრულებული ტურნირის შემთხვევაში საეროთოდ დაემშვიდობება უმაღლეს, მაკუჩი დივიზიონს.

გიორგი არაბული

აღმოსავლეთი	წოდება	დასავლეთი
ჰაკუჰო	იოკოძუნა	ასაშორიუ
კოტომიცუკი	ოძეკი	კოტოოშუ
კაიო	ოძეკი	ჩიოტაიკაი
ამა	სეკივაკე	ტოიონოშიმა
ბარუტო	კომისუბი	ასასეკიურიუ
კოტოშოგიკუ	პირველი მაეგაშირა	მიაბიამა
კისენოსატო	მეორე მაეგაშირა	ჰომაშო
კიოკუტენო	მესამე მაეგაშირა	როჰო
ამინიშიკი	მეოთხე მაეგაშირა	ტოჩინონადა
კაკურიუ	მეხუთე მაეგაშირა	გოეიდო
ტოიოჰიბიკი	მეექვსე მაეგაშირა	ტოჩიოძანი
ივაკიამა	მეშვიდე მაეგაშირა	ტოკიტენკუ
	მერვე მაეგაშირა	მასაცუკასა
ჰოკუტორიკი	მეცხრე მაეგაშირა	ვაკანოსატო
ტოჩინოშინი	მეათე მაეგაშირა	ფუტენო
იოშიკაძე	მეთერთმეტე მაეგაშირა	ტაკამისაკარი
ტამანოშიმა	მეთორმეტე მაეგაშირა	დეჯიმა
ჩიოჰაკუჰო	მეცამეტე მაეგაშირა	კიტატაიკი
ტაკეკაძე	მეთოთხმეტე მაეგაშირა	კიმურაიამა
ტამაუაში	მეთხუთმეტე მაეგაშირა	კასუგაო
კოკაი	მეთექვსმეტე მაეგაშირა	კაკიძოე

ჩოგბურთი

ჰოლანდია დამთავრდა, საფრანგეთი იწყება

ჰოლანდიაში წაგების შემდეგ ქართველმა ჩოგბურთელმა მაკა ჩახნაშვილმა საფრანგეთში გადაინაცვლა და ქალაქ დენიანში 75 ათას დოლარიან ტურნირე ითამაშებს. მაკა პირდაპირ ძირითად ბადეშია დაშვებული და მისი მეტოქე მე-4 ნომრად განთესილი ფრანგი ოლივია სანჩესი იქნება.

თუ ჩახნაშვილი ჰოლანდიიდან წამოვიდა, სამაგიეროდ, სოფო ქვაცაბაიამ და ეკატერინე გორგოძემ მოსინჯეს ძალები „ტიტების“ ქვეყანაში და ტურნირს, რომლის საპრიზო ფონდი 25 ათასი დოლარია, კვალიფიკაციაშივე დაემშვიდობნენ.

სოფო შაფათავა

ქართველებმა საწყისი წრე გამოტოვეს, მერე კი სოფომ ბელგიელ დელეფორტრიეს 6:1, 6:1 მოუგო და ტურნირის მე-2 ნომერ, რუს ელიზავეტა ტოჩილოვსკაიას ვერაფერი მოუხერხა — 2:6, 5:7.

ეკატერინე გორგოძემ გერმანელი პუტჰოი 6:1, 6:2 დაჩაგრა და მერე მეოთხე ნომრად განთესილ უკრაინელ ლესია ცურენკოსთან 4:6, 6:4, 3:6 წააგო.

ნიკა ძოპაძე

ხელბურთი

რუსიამ დაამთავრა და იწყებს

საქართველოს ხელბურთელთა ნაკრების და რუმინეთის „დინამოს“ ერთ-ერთი ლიდერი ვლადიმერ რუსია თავის გუნდთან ერთად ახალი სეზონისთვის მზადებას განაგრძობს.

„დინამომ“ წინასასეზონო შეკრებაზე ორი ტურნირი მოილია და რუმინეთის ჩემპიონატის დაწყებამდე ბოლო შეკრება გაიარა, სადაც კიდევ ერთ ტურნირში მიიღო მონაწილეობა ქალაქ კლუზში. „დინამოსთან“ ერთად კიდევ ოთხი გუნდი ეჯიბრებოდა ერთმანეთს.

რუსიას გუნდი ოდენ მესამე ადგილზე გავიდა, სულ კი ორი თამაში მოიგო.

— ამ ტურნირზე მესამე ადგილს დიდი არაფერი მნიშვნელობა არ ჰქონდა. ახლა მთავარია, რომ სეზონის დასაწყის კარგ ფორმაში შევხვდეთ. მწვრთნელი ძირითად შემადგენლობას თავიდან გვათამაშებდა და 20 წუთის მერე მეორე შემადგენლობას აყენებდა იმის გამო, რომ ძირითადის ხალხი არ დავეტვირთეთ. მეც ნორმალურად ვითამაშე. რუმინეთის ჩემპიონატი კი 5 სექტემბერს დაიწყება — გვითხრა ვლადიმერ რუსიამ

ნიკა ძოპაძე

კალათბურთი

აზერბაიჯანელებს ქართული კალათი მოსწონთ

საქართველო პატარა ქვეყანაა და ნებისმიერი ამბავი ძალიან ადვილად ვრცელდება.

აზერბაიჯანის დედაქალაქ ბაქოს საკალათბურთო გუნდ „ნტდ-სერვის დევონს“ საქართველოს საკალათბურთო სუპერლიგაში ჩართვა განუზრახავს.

ამ ინფორმაციას აზერბაიჯანული საინფორმაციო სააგენტო „აზერსპორტი“ ავრცელებს. მათივე განცხადებით, ეს სურვილი მას შემდეგ გაჩნდა, რაც ბაქოური კლუბის ხელმძღვანელები დარწმუნდნენ, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატი არანაირად არ შეესაბამება მათი გუნდის დონეს და კლასის ამაღლება და დამტკიცება საქართველოს ჩემპიონატში სურთ.

წივწივაძემ პოლონეთი და ევროპა 2 გააფორმა



საქართველოს ნაკრების და თბილისის „ვითას“ უკანახაზელი ბექა წივწივაძე პოლონეთის უმაღლეს ლიგელ „ენერჯი ჩარნში“ გადავიდა.

პოლონელებმა წივწივაძის შეძენა მას მერე გადაწყვიტეს, როცა მისი თამაში ლატვიაში ახალგაზრდული ევროპის ჩემპიონატის A დივიზიონის მატჩებში ნახეს. პოლონელებმა ქართველ უკანახაზელთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმეს.

სათქმელია, რომ „ენერჯი ჩარნი“ „ულების თასზეც“ ითამაშებს. ბექა წივწივაძეს კი შანსი აქვს საკლუბო ევროთასებზე რანგით მეორე ტურნირზე ითამაშოს.

ნიკა ძოპაძე

ბაჩო კორინთელის ფოტო

ფრანგი ქველმოქმედები და მათი მასპინძელი ილია მაისურაძე

ფრანგული სოლიდარობა

მარსელ დესაი ვარსკვლავებს გვპირდება

გუშინ ილია ჭავჭავაძის გამზირზე, ცოცხალი ჯაჭვისას, უამრავ უცხოელ ჟურნალისტთან ერთად ერთნაირ მაისურიანი ექვსი ფრანგი ფოტო და ვიდეო აპარატურით იღებდა თბილისში მიმდინარე მოვლენებს. ისინი, საქართველოს მორაგბეთა ნაკრებს ყოფილი მოთამაშის ილია მაისურაძის სტუმრები იყვნენ. ილია მაისურაძემ კარგა ხანია, რაც ფრანგებთან ერთად საქართველოში საქველმოქმედო ფონდი „მომავალი თაობა, მზრუნველობა და თანადგომა" დაარსა. ფონდი მთელ მსოფლიოში მოქმედებს და მიუსაფარ და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებზე პატრონობას კისრულობს. ფონდის დამაარსებლები და დონორები მსოფლიოში ცნობილი სპორტსმენები არიან. ისეთები როგორებიც არიან მარსელო დესაი, ჯექსონ რიჩარდსონი, ლევიდ დუიე, როლან შამბერტანი, სტეფან ზიანი... სანამ ფრანგი ქველმოქმედება თბილისის ქუჩებს და ცოცხალ ჯაჭვს ჩაუვლიდნენ იქამდე საქართველოს რაგბის კავშირში ილო მაისურაძეს და მის სტუმრებს სახელდახელოდ გავესაუბრეთ...

ილია მაისურაძე: ჩემი სტუმრები საქველმოქმედო ფონდ „კოლექტივის" დამაარსებლები და წევრები არიან. ფონდი მთელი მსოფლიოს მასშტაბით ფუნქციონირებს და საკმაოდ წარმატებული პროექტები აქვს. იცით, რომ ჩვენ და ჩვენი ფრანგი პარტნიორები ობოლ, მიუსაფარ და ღარიბი ოჯახებიდან გამოსულ ბავშვებზე ვზრუნავთ. ფონდის საქმიანობა მათ სწავლას და სპორტით დაკავებას მოიცავს. ჩვენი მიზანია მიუსაფარი ბავშვები ქუჩას მოვწყვიტოთ და მათი ენერგია კარგი საქმეებისკენ მივმართოთ. საქართველოში ამ პროექტის განსახორციელებლად შარშან უკვე გადაიდგა კონკრეტული ნაბიჯი.

ნანტის სიახლოვეს, ქალაქ კლასინში მოეწყო საქველმოქმედო მატჩი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონმა ფრანგმა ფეხბურთელებმა და სხვა ცნობილმა სპორტსმენებმა. ამ მატჩიდან შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდა საქართველოში საქველმოქმედო ფონდის ამუშავებას. რომელსაც მე და ჩემი მეგობრები ვხელმძღვანელობთ. ამ პროექტის და ფონდის საქმიანობის შესასწავლად და მომავალში მისი განვითარებისთვის ჩამოვიდნენ ფონდ „კოლექტივის" პრეზიდენტი სტეფან რიშარი, მისი აქტიური წევრი მიშელ ტუზე, გენერალური მდივანი ფაბიენ ბერნარდი და ჟურნალისტი ევე პავიჟო.

პავიჟო რამდენიმე ფრანგულ გაზეთთან და ტელევიზიასთან თანამშრომლობს და საგანგებოდ ჩამოდიოდა, რომ რეპორტაჟები გაეკეთოს. სხვათა შორის, მათი სტუმრობა ცოტა მოგვიანებით უნდა შემდგარიყო, მაგრამ საქართველოში შექმნილი ვითარების გამო ვიზიტი დააჩქარეს და სოლიდარობის ნიშნად დაგეგმილზე ადრე ჩამოვიდნენ".

სტეფან რიშარი: „სამწუხაროდ ცუდ დროს მოგვიწია თქვენთან ჩამოსვლა. ჩვენ გვინდოდა აქ წმინდა საქმიანი ვიზიტი გვქონოდა, მაგრამ ამ ვითარებაში ეს შეუძლებელია. რაც უკვე ვნახეთ, ეს საკმარისია, რომ საქართველოში ჩვენი ფონდის საქმიანობა უფრო მრავალფეროვანი გავხადოთ. რუსული აგრესიის გამო, საქართველოში კიდევ უფრო მეტი ობოლი და მიუსაფარი ბავშვია, ლტოლვილთა რიცხვმაც იმატა. როდესაც საფრანგეთში დავბრუნდებით, ჩვენ შევეცდებით ლტოლვილთა დახმარების ცენტრი გავხსნათ, რომ რამენაირად დავეხმაროთ თქვენს ქვეყანას. რაც შეეხება ჩვენი ფონდის პირდაპირ დანიშნულებას, გეტყვით, გადაწყვეტილი ამბავია, რომ გაისად, ივლისში თბილისში საქველმოქმედო მატჩს გავმართავთ. ჩვენ ჩამოვიყვანთ, მსოფლიოს ჩემპიონ ფრანგ ფეხბურთელებს, ხელბურთელებს, კალათბურთელებს და ფრენბურთელებს. ამას ჩვენს თავზე ვიღებთ და ამაში მარსელი დესაიც გვეხმარება. დესაი საფრანგეთში ქველმოქმედების სიმბოლოა. იგი, აფრიკაში დაიბადა და საფრანგეთის ნაკრების კაპიტანი გახდა. იგი არ ივიწყებს გაჭირვებულებს და ყველანაირად ეხმარება მათ. ახლა ილიამ უნდა მოახერხოს და ქართველი საზოგადო მოღვაწეები, სპორტსმენები და ცნობილი პიროვნებები უნდა ჩართოს ამ პროექტში, დარწმუნებული ვართ, კარგი მატჩი გამოვა და შემოსული თანხა ქველმოქმედებას მოხმარდება".

ევე პავიჟო: „მე ჟურნალისტი ვარ და ფონდ „კოლექტივთან" ვთანამშრომლობ, როდესაც გავიგე, ფონდის უფროსობა საქართველოში მოდიოდა, მათ ხალისით გამოვყევი. იქედან რეპორტაჟებს ვაკეთებ და იქაურ გაზეთებში ყველაფერს დეტალურად დავწერ. დღეს მე ვნახე ქართველების საოცარი ერთსულოვნება. ასეთი რამე აქამდე არასოდეს მინახავს. ყველა ასაკის ხალხი ქუჩაში ხელი ხელ ჩაკიდებული იდგა. ეს ამაღელვებელი სანახავი იყო".

ბაჩო სვანიძე

სამი ერი. მეხუთე ტური

აფრიკა 53:8 ავსტრალია

აფრიკა: იანჩისი, ნდუნხანე (ვოთსონი 69), იაკობსი (ნდუნხანე 74), დეფილიერსი, ნოკვე (მონთგომერი 52), ჯეიმზი (პინარი 58), დიუპრე (იანარი 69); მთავარირა, ბ. დიუპლესი (სტრაუსი 72), მუჯათი (ი. დიუპლესი 47), ბეკერი (როსუ 74), მეტფილდი (კაპ), ბერგერი, ჟ. სმითი, სპისი

8 ლ: ბეკერი, ნოკვე (4), იაკობსი პინარი ნდუნხანე; 5გ: ჯეიმზი (3), მონთგომერი (2); 1ს: ჯეიმზი

ავსტრალია: ეშლი-კუპერი ,ჰაინსი (მიჩელი 52), მორტლოქი (კაპ), ტაპუ (კროსი 52), ტუკირი, ჟიტო; ქორდინგლი (შიანი 54), რობინსონი (დანინგი 59), პოლოტა, ნაუ (მური 49), დანინგი (ბაქსთერი 32); ჰორვილი, მაკმენიმანი (მამი 69), ელსომი, ვო (ჯ. სმითი 47), პალუ

1ლ: მიჩელი; 1ს: ჟიტო

სამხრეთ აფრიკამ ავსტრალია ააგდო და დააგდო

იოჰანესბურგში მასპინძელმა სამხრეთ აფრიკამ ავსტრალია „ვოლაბზი" გაპარსა, გადაუარა, გადაჯეგა, მოკლედ მსაჯის პირველი სასტვენის შემდეგ რომ დაიწყო მატჩის ბოლომდე არ გაახარა. სამაგიეროდ, გაიხარა აფრიკელმა ფანობამ. ხმა ამოიღო „ქურციკების" პირველმა არათეთრმა მთავარმა მწვრთნელმა - პეტერ დე ვილიერსმა და გულშემატკივარს შეუტია: მათ რომ პატრიოტიზმი და რწმენა ჰქონდეთ და წამდაუწუმ იმის ფიქრში არ იყვნენ რომელ ქვეყანაში გაატარონ თაფლობის თვე, მათ რომ საკადრისად უგულშემატკივრონ კაცებს რომლებმაც შარშან მათ მრავალი სასიამოვნო საათი აჩუქა და არ ცდილობდნენ წაფორხილებულის ჩაწიხვლას, ჩვენ როგორც ერი საკმაოდ მალე გავიზრდებოდითო!" ამ სიტყვების გამგონე, გულზე მჯილის ცემას მოყვებოდა სპრინგბოკების ალალად გახარებული გულშემატკივარი — ქვეყანაში ათ წელზე ოდნავ მეტია, აპარტეიდის რეჟიმი გადავარდნილა და ზანგი უკვე ქვეყნის სიყვარულს გასწავლის და ერის წინსვლის გზებს გისახავს! მაგრამ რაღა გინდა ქნა?! — შავკანიანი გურუს ტაქტიკამ საოცრებები დაატრიალა მოედანზე. სამხრეთაფრიკელებს ყველაფერი გამოსდიოდათ: მოიგეს აუტში, რაქში, ფეხით თამაშში, ჰქონდათ საუცხოო მიყოლა, ისეთი როგორიც მხოლოდ ზელანდიელებს აქვთ ხოლმე და თუმცა „ქურციკებს" ჯანში არასდროს ყავდა ბადალი, ამ შაბათს მეტოქეთა ფიზიკური კონდიციებს თანაფარდობა ცასა და მიწას შორის განსხვავების მაგვარი იყო. და თამაშის გმირი ვინ იყო? — მთლად უწვერული, ახალბედა, კუპრივით შავი იონგი ნოკვე, ვინაც ნამდვილი სასწაული მოახდინა: დაუდო ოთხი ლელო ავსტრალიას. მას მხარი ეგზოტიკურმა ნდუხანემაც აუბა და ეგეც ხუთი. არ დაგავიწყდეთ რომ მათივე ფერის ჰაბანა, 2007 წლის მსოფლიო საუკეთესო მორაგბე თამაშს ტრიბუნებიდან ადევნებდა თვალს, ტრავმა ჰქონდა და თანარაზმელთა მონაგარს ვერაფერი შეამატა. თუმცა მისმა არყოფნამ იონგი ნოკვეს ძირითადში გაამწესა და ბიჭმაც აჩვენა რაც იცოდა. ოთხი ლელო ერთ თამაშში რომ სამი ერის რეკორდი იყო იონგმა თააშის მერე გაიგო და მიუხედავად იმისა, რომ მეოთხე ლელოს გატანისას ტრავმირებული კოჭი ძალიან სტკიოდა, თარჯიმნის დახმარებით ყველას აუწყა რომ უზომოდ ბედნიერია. ასე რომ ერთ ერთ უდიდეს სარაგბო ქვეყანაში მოუწევთ რაღაცეების შეცვლა — აქამდე ამბობდნენ რაგბი თეთრების სპორტია და ფეხბურთი შავებისო. როგორც ირკვევა, სამხრეთაფრიკული რაგბის წინაშე ახალი პერსპექტივები იშლება. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ ამ თემაზე იმასაც შეგახსენებთ, რომ „ქურციკებისა" და „ვოლაბების" ურთიერთჭიდილის დროს, ტრადიციული საცილო თასი თამაშდება და ეს თასი უკვე მერამდენე წელია ნელსონ მანდელას სახელს ატარებს.

მიუხედავად ბოლო თამაშში ძალიან შთამბეჭდავი მოგებისა, სამხრეთაფრიკელები სამი ერის პირველობის ბოლო ადგილზე დარჩნენ. ამ თამაშს, არც არაფრის შეცვლა შეეძლო — ყველაფერს ბრისბენში დაპირისპირება გადაწყვეტს. ამიტომაცაა, რომ სამხრეთაფრიკელთა მართლა ლამაზი გამარჯვება ერთობ გაუფერულდა. საერთო აზრი ასეთია: ავსტრალიას ახალზელანდიელებთან ბრისბენში გასამართ მატჩზე ჰქონდათ გადატანილი ყურადღება. რობი დინსის, ვოლაბიზის ახალზელანდიელი მწვრთნელის, თითქმის არც ერთმა ტაქტიკურმა ექსპერიმენტმა და შემადგენლობის გადაჯგუფებამ არ გაამართლაო. ამ აზრის სიმართლეში 13 სექტემბერს დავრწმუნდებით, როცა ავსტრალია ფინალის ტოლფას მატჩში ახალ ზელანდიას დაუხვდება.

ნიკა კოპაძე

ახ. ზელანდია	3	0	2	+42	2	14
ავსტრალია	3	0	2	-40	1	13
ს. აფრიკა	2	0	4	-2	1	10

US OPEN 2008. ჰარდი. 25 აგვისტო–7 სექტემბერი. საპრიზო 15 900 000 დოლარი

ენდი როდიკი: ჩოგანიც ჩემია და კორტიც


ენდი როდიკი

კაცები

მესამე წრე

ენდი როდიკი (8, აშშ) — ანდრეა სეპი (31, იტალია) 6:2 7:5 7:6; **ფერნანდო გონსალესი** (11, ჩილე) — იარკო ნიემინენი (ფინეთი) 7:5 6:4 6:7 6:1; **ტომი როგრედო** (15, ესპანეთი) — ჟო-ვილფრედ ცონგა (19, საფრანგეთი) 7:6 6:2 6:3; **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (3, სერბეთი) — მარინ ჩილიჩი (30, ხორვატია) 6:7 7:5 6:4 7:6; **ნიკოლაი დავიდენკო** (5, რუსეთი) — დმიტრი ტურსუნოვი (26, რუსეთი) 6:2 7:6 6:3; **ჟილ მიულერი** (ლუქსემბურგი) — ნიკოლას ალმაგრო (18, ესპანეთი) 6:7 3:6 7:6 7:6 7:5; **იგორ ანდრეევი** (23, რუსეთი) — ფერნანდო ვერდასკო (13, ესპანეთი) 6:2 6:4 6:4; **როჯერ ფედერერი** (2, შვეიცარია) — რადეკ შტეპანეკი (28, ჩეხეთი) 6:3 6:3 6:2

ქალები

მეოთხე წრე

ელენა დემენტიევა (5, რუსეთი) — ნა ლი (ჩინეთი) 6:4 6:1; **პატი შნიდერი** (15, შვეიცარია) — კატარინა სრებოტნიკი (28, სლოვენია) 4:6 6:3 6:3; **სიბილ ბამერი** (29, ავსტრია) — მარიონ ბარტოლი (12, საფრანგეთი) 7:6 0:6 6:4; **ელენა იანკოვიჩი** (2, სერბეთი) — კაროლინ ვოზნიაკი (21, დანია) 3:6 6:2 6:1

ენდი როდიკი ხმაურიანად მიიწევს წინ. და როცა ვამბობთ ხმაურიანადო, სულაც არ გვეხუმრება — ამერიკელთა უმთავრესი იმედი კორტზე პირდაპირ ბობოქრობს, ერთი წუთითაც არ წყნარდება და ყოველ მოგებულ გათამაშებას სხვადასხვანაირი შეძახილით აღნიშნავს. იანკი არც მაშინ ჩერდება, როცა რაღაც არ გამოსდის და როგორც კი პრობლემები ექმნება, მაშინვე რაღაც არაორიდნალურს აკეთებს. მაგალითად, ის საკუთარი თავის შესაგულიანებლად ანაც ბრაზის გადმოსანთხევად არც ჩოგნების მსხვრევას ერიდება. ენდი-ბიჭმა სულ რაღაც სამი მატჩის გამართვა მოასწრო, მაგრამ თითქმის ორი ამდენი ჩოგნის დალეწვა კი მოახერხა.

„არა მგონია სწორი იყოს ასეთ დროს ჩოგბურთელის გაფრთხილება. მე ხომ უბრალოდ ემოციებისგან დაცლა მინდა, არავის ზიანს არ ვაყენებ. შეიძლება მეტოქისადმი ცოტა უპატივცემულობა იყოს, მაგრამ არავის შეურაცხყოფა არ მინდა ხოლმე .— თანაც, ბოლოსდაბოლოს ჩემი ჩოგანია და რასაც მინდა, იმას ვუზავ“ — ასე იმართლა თავი როდიკმა ამერიკელი ჟურნალისტების წინაშე.

ისე კი ენდი-ბიჭი ტრიბუნებზე შეკრებილ გულშემატკივრებთან ერთად ნამდვილ შოუს აწყობს ხოლმე — როდიკი „ფლეშინგ მედოუზის“ პუბლიკას ყოველთვის უყვარდა და აგერ უკვე წლებია, ლამის კერპად ჰყავს ქცეული. ამიტომ, როცა როდიკი ენას არ აჩერებს და რაღაცას შემოსძახებს ხოლმე, ტრიბუნებისგან პასუხი არასდროს აყოვნებს. ყოველივე ეს კი იანკის მეტოქეებს დამატებით დისკომფორტს უქმნის, რაც როდიკის წისქვილზე ასხავს წყალს.

და გულშემატკივრები ამ აქტიურობით თავად როდიკს თუ უშლიან ხელს?

„სულაც არა. ყოველ შემთხვევაში არა მაშინ, როცა გათამაშებებს შორის პაუზის დროს ყვირიან ხოლმე. სხვა საქმეა, როცა ვთქვათ ჩამოწოდებისას ბურთს ააგდებ და მაშინ ვინმე დაიყვირებს. ასეთი რამ მართლაც დაუშვებელია. თუმც აქაურმა პუბლიკამ წესები კარგად იცის და სანამ მათ იცავენ, მე არანაირი პრობლემა არ მაქვს“ — ამბობს ამერიკელი.

ასეა თუ ისე როდიკი უკვე მეოთხე წრეშია, რაც წლეულს სლემტურნირებზე იანკის მიერ ნაჩვენები საუკეთესო შედეგია — ავსტრალიაში მან მესამე წრეში წააგო, უიმბლდონზე — მეორეში, „როლან გაროსზე“ კი საერთოდ არ უთამაშია.

გუშინ კი ენდი ანდრეა სეპის გაუმკლავდა და ეს მთლიანობაში საკმაოდ დამაჯერებლად მოახერხა. ამერიკელი თავიდან ბოლომდე აკონტროლებდა მატჩის მიმდინარეობას და ამიტომ იტალიელს შანსიც კი არ მისცა. ჩვეულად მწყობრში იყო იანკის განთქმული ყუმბარმტყორცნი — ენდიმ 19-ჯერ ჩააეისა.

მეოთხედფინალის საგზურისთვის როდიკს პეკინის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსან ფერნანდო გონსალესთან მოუწევს დატაკება და პირველი სერიოზული გამოცდა სწორედ აქ უნდა ჩაბაროს. 28 წლის ჩილელი ახლა მშვენიერ ფორმაშია, რაც იარკო ნიემინენის წაქცევითაც დაამტკიცა. სამხრეთ ამერიკელი ენდი-ბიჭს დიდ თავსატეხს ნამდვილად გაუჩენს — თუ იანკი ისევ მხოლოდ საკუთარი მოწოდების იმედზე იქნა, საეჭვოა სასიკეთოს რაიმეს გამორჩეს.

როდიკისგან განსხვავებით გაცილებით ჩუმად და წყნარად აკეთებს თავის საქმეს როჯერ ფედერერი, რომელიც ჯერჯერობით ბრწყინავლედ ჩოგნაობს და მეტოქეებს ისეთი სიიოლით ამარცხებს, როგორც ამას ბოლო წლებში მიგვაჩვია. ახლა იმაზე ლაპარაკს არ დავიწყებთ, შვეიცარიელმა ძველებური ფორმა დაიბრუნაო, მაგრამ იმის აღიარება კი შეიძლება, რომ ალპელს წლეულს ამაზე კარგად ნაღდად არ უთამაშია.

„ეს ჩემი უმთავრესი პლიუსია — საკმარისია ერთი დიდი ტურნირი მოვიგო, ვთქვათ რომელიმე სლემტიტული და დაუმარცხებლობის აურა, რომელზე ლაპარაკიც თქვენ, ჟურნალისტებს ასე გიყვარდათ, ისევ დამიბრუნდება“ — თქვა ნამატჩევს ფედერერმა.

ალპელის მსხვერპლი კი რადეკ შტეპანეკი გახლდათ. გამოცდილმა ჩეხმა მხოლოდ პირველი სეტის შუაწელზე შეძლო მეტნაკლებად თანაბარ დონეზე ათამაშება, როცა დაკარგული მოწოდება დაიბრუნა და ჩამორჩენა 4:3-დე შეამცირა. თუმც „მხიარულმა როჯერმა“ იქვე მოუღო ბოლო მეტოქის გააქტიურებას და მატჩის სადავები საბოლოოდ იგდო ხელთ.

ამ გამარჯვებით ფედერერმა შტეპანეკზე შური იძია რომის მასტერსზე დამარცხებისთვის. ალპელის შემდეგ მეტოქე კი იგორ ანდრეევი იქნება, რომელიც მოულოდნელად, ძალიან იოლად გაუმკლავდა ფერნანდო ვერდასკოს.

უაღრესად საინტერესო გამოდგა ბალკანური დუელი ნოვაკ ჯოკოვიჩსა და მარინ ჩილიჩს შორის. ახალგაზრდა ხორვატმა სერბს არაფერი დაუთმო და ნამდვილი ომი გაუმართა — ოთხივე სეტში ყველაფერი ქულა-ქულაში მიდიოდა, მაგრამ ნოვაკმა მეტი გამოცდილების ხარჯზე გამდაწყვეტ მომენტებში შეძლო ცივი გონების შენარჩუნება და ამის ხარჯზე იხეირა კიდეც.

ჩილიჩისთვის კი ამ შეხვედრაში საკუთარი მოწოდება იქცა როგორც ძლიერ, ისე სუსტ მხარედ. სანამ ზუსტად აწოდებდა, მანამდე ხორვატი ახერხებდა მსოფლიოს მესამე ჩოგანთან თანაბრად ბრძოლას. მაგრამ ცოტა გადაიღალა თუ არა, მაშინვე პრობლემები შეექმნა — თუნდაც ის რად ღირს, რომ ჩილიჩმა მთლიანობაში 12 ორმაგი შეცდომა დაუშვა, რაც ასეთი დონის მატჩისთვის დამღუპველი გამოდგა.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ჟილ მიულერის სასწაული გამოსვლაც. ეს ლუქსემბურგელი ძირითად ბადეში კვლაიფიკაციიდან მოხვდა, მაგრამ ამას მისთვის ხელი არ შეუშლია სასწაულები ჩაედინა. აბა სხვა რა უნდა დაერქვას იმას, რომ ბენილუქსელმა ორჯერ ფაქტობრივად წაგებული მატჩი შემოუტრიალა თავისზე კლასით უფრო მაღალ მეტოქეებს — ჯერ ტომი ჰაასს, გუშინ კი ნიკოლას ალმაგროს. მიულერმა ორივესთან დათმო საწყისი სეტები, მაგრამ ორივეჯერ შეძლო ამ ჩამორჩენის აღმოფხვრა.

ისე, ამ მატჩში სერიოზული კურიოზიც მოხდა — მესამე სეტში, ერთ-ერთ მომენტში ალმაგრომ რატომღაც გადაწყვიტა, რომ გათამაშება დასრულებული იყო და პირსახოცის ასაღებად გაემართა. თუმც შემდეგ შეამჩნია, რომ ბურთი ისევ თამაშში იყო და მის დასაწევადაც გაიქცა, მაგრამ ვეღარ მიუსწრო. ვინ იცის, იქნებ მატჩის გარდამტეხი მომენტიც სწორედ ეს იყო.

აი, ქალებმა კი გუშინ პირველი მეოთხედფინალისტები გამოავლინეს.

ჩვენ ელენა იანკოვიჩით დავიწყოთ, რომელმაც მორიგი სამსეტიანი ბრძოლა გადაიტანა. ამჯერად სერბს პრობლემები კაროლინა ვოზნიაკიმ შეუქმნა — 18 წლის დანიელმა პირველ სეტში პირწმინდად დაჩაგრა ბალკანელი, მაგრამ ელენამ ტემპს უმატა, ჩვეული აკრობატული ეტიუდების ჩატარება დაიწყო და მატჩში გარდატეხა მაინც შეიტანა. ეს მეორე სეტის მეოთხე გეიმის შემდეგ მოხდა და იანკოვიჩმაც მომდევნო 11 გეიმიდან 10 სათავისოდ დაიტოვა.

მეოთხედფინალში იანკოვიჩს სიბილ ბამერი ელის, რომელსაც მარიონ ბარტოლის გასატეხად 3 საათი და 5 წუთი დასჭირდა — სულ ცოტაც და ეს მატჩი ყველაზე ხანგრძლივი იქნებოდა აშშ-ს ღია პირველობის ისტორიაში. თუმც ავსტრიელი ნამატჩევს მაინც ძალაზე იყო:

„ოფლი ხეირინადაც არ მომიდენია. კორტზე კიდევ კარგა ხანს შევძლებდი გაჩერებას“.

მეორე მეოთხედფინალში კი ერთმანეთს ელენა დემენტიევა და პატი შნიდერი შეხვდებიან. აქ რუსი აშკარა ფავორიტი იქნება — საერთოდ, ელენა ახლა მართლაც დიდებულ ფორმაშია, რაც ძალიან უტეხი ჩინელი ნა ლის განადგურებითაც გამოაჩინა.

ქახა ლომაშვილი

სიბილ ბამერი

ვინც დახურა, ისევ იმან დაიწყო

რონი ოსალივანის ჩრდილოირლანდიური ალაფი



რონი ოსალივანის ჯილდოების უნიკალურ კოლექციას ეიდევ ერთი თასი დაემატა — მსოფლიოს ჩემპიონმა და სნუკერისტთა რეიტინგის პირველმა ნომერმა ახალი, 2008-09 წლების სეზონიც გამარჯვებით დაიწყო და სეზონის პირველი სარეიტინგო ტურნირი, ჩრდილოეთ ირლანდიის ალაფად წოდებული შეჯიბრი მოიგო.

ოსალივანის კარიერაში ეს 21-ე სარეიტინგო ტიტულია და ბოლო ოთხ წელიწადში, სულაც პირველად მოხდა, რომ ერთმა მოთამაშემ მიყოლებით ორი სარეიტინგო ტურნირი მოიგო — შარშანდელი სეზონი მსოფლიოს ჩემპიონატით და რონის ტრიუმფით დაიხურა და ახალი სეზონიც მისი გამარჯვებით გაიხსნა. აღსანიშნავია, რომ ოთხი წლის წინათაც, სწორედ „რაკეტად“ წოდებულმა სნუკერის ჯადოქარმა მოახერხა მიჯრით ორი სარეიტინგო ტურნირის მოგება და მაშინაც ასე იყო — წინა სეზონი მსოფლიოს ჩემპიონატზე ტრიუმფით დახურა და ახალი კი „დიდი პრიზის“ მოგებით გახსნა.

არადა, 2006-07 წლებში ოსალივანს ჩავარდნა ჰქონდა და ვერაფრით ახერხებდა სარეიტინგო შეჯიბრის მოგებას. მაგრამ შარშანდელი სეზონი ბრწყინვალედ გავლო, ორი უმთავრესი ტურნირი (მსოფლიოს ჩემპიონატი და დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფოს პირველობა) მოიგო და ახალიც ბრწყინვალე სტილში გახსნა.

ბელფასტური შეჯიბრის ფინალურ მატჩში რონის მეტოქედ ვეტერანი თანამემამულე, 41 წლის დეივ ჰეროლდი ერგო, ვისაც სარეიტინგო ტურნირის ფინალში ბოლოს 1994 წელს ეთამაშა, მოგებით კი ბოლო ტიტული უფრო ადრე, 1993 წელს მოეგო (აზიის ღია პირველობა).

რეიტინგის 28-ე საფეხურზე მყოფი ჰეროლდის ფინალში გასვლას არავინ ელოდა, მით უმეტეს, რომ მის ბადეში უმძლავრესი შოტლანდიელები — მსოფლიოს ექსჩემპიონი გრემ დოტი, რეიტინგის მეორე ნომერი სტივ მაგუაერი და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ჯონ ჰიგინსი იყვნენ. ჰეროლდმა თავისი აუჩქარებელი თამაშით სამივეს მოუგო. ბოლო ხანებში უხეიროდ მოთამაშე დოტს ჰეროლდმა 5:3 სძლია და შემდეგ მეოთხედფინალში 5:2 გაანადგურა ჩრდილოირლანდიური შეჯიბრის შარშანდელი გამარჯვებული მაგუაერი. პარალელურად, ჰიგინსმა 5:3 მოუგო ინგლისელ იან მაკალოპს და ნახევარფინალურ დაპირისპირებაში ფავორიტად სწორედ ჯონი ითვლებოდა, მაგრამ დეივი ეგრეც წინ გაიჭრა, 5:1 დაწინაურდა და სქოთმა ჩამორჩენა მინიმუმამდე კი დაიყვანა, ბოლო წერტილი მაინც ჰეროლდმა დასვა — 6:4.

ბადის ქვედა ნახევარში ინგლისური ნახევარფინალი მივიღეთ, რომელიც ამავდროულად გასული მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალის გამეორება გამოვიდა — ოსალივანი ალისტერ კარტერის წინააღმდეგ. მანამდე, მეოთხედფინალში, რონიმ მძაფრ ბრძოლაში 5:4 აჯობა კიდევ ერთ ინგლისელ ბარი ჰოუკინსს, ხოლო კარტერმა ადვილად, 5:2 მოუგო ტურნირის მასპინძელ მარკ ალენს.

კარტერი და ოსალივანი სპარინგ-პარტნიორები და საკმაოდ ახლო მეგობრები არიან. სარეიტინგო ტურნირებზე ისინი აქამდე ცხრაჯერ შეხვედროდნენ ერთმანეთს და ცხრავე შემთხვევაში ოსალივანს ემარჯვა. ამ ჯერზე კარტერი როგორც არასდროს, ისე ახლო იყო გამარჯვებასთან, 5:4-ს იგებდა და თითქოს თამაშის მსვლელობასაც აკონტროლებდა, მაგრამ რონიმ თავისი გაიტანა — ჯერ ანგარიში გაათანაბრა, გადამწყვეტ, მე-11 ფრეიმში კი მეტოქის ერთადერთი უზუსტობით უმალ ისარგებლა და ფინალს უწია.

გადამწყვეტ შეხვედრაში ბრძოლა არ შედგა. ჰეროლდმა ეტყობა მთელი თავისი ძალები სქოთებს შეალია და ეგეც არ იყოს, ოსალივანის დონის მეტოქესთან სათამაშოდ ვეტერანი აშკარად არ აღმოჩნდა მზად. შედეგად 9:3 და რონი ოსალივანს ჩრდილოირლანდიური თასი და 30 ათასი გირვანქა სტერლინგი ერგო, ხოლო ჰეროლდი ორჯერ ნაკლებით დაკმაყოფილდა.

შემდეგი სარეიტინგო ტურნირი, „შანხაის მასტერსი“ კი უკვე სექტემბრის ბოლოს დაიწყება.

შენი ოქრო, ჩვენი ფული

ზიმბაბვეს მადლობა კირსტი ქოვენთრის

ღარიბ აფრიკულ ქვეყანა ზიმბაბვეს მხოლოდ ერთი ოქროს ოლიმპიელი ჰყავს — მოცურავე ქალი კირსტი ქოვენთრი და მას ხელის გულზე ვერ ატარებს, რაკი თანამედროვედ გაწყობილი აუზისა და სხვა პირობების არქონის გამო ქოვენთრი საზღვარგარეთ, კერძოდ აშშ-ში ცხოვრობს და ვარჯიშობს. მაგრამ რადგან ეს ფითქინა გოგო მთელი ცხოვრება ზიმბაბვეს დროშით დაცურავს და იმარჯვებს, სამშობლო როგორღაც მაინც ცდილობს მის დაფასებას.

ამ უქმეებზე დედაქალაქ ჰარარეში ქოვენთრის შეხვდა ქვეყნის პრეზიდენტი რობერტ მუგაბე, საზეიმო ვითარებაში გადასცა 100 000 ამერიკული დოლარი და ასე გადაუხადა მადლობა პეკინის ოლიმპიადაზე ზიმბაბვესთვის მოპოვებული ერთი ოქროსა და სამი ვერცხლის მედლებისთვის. პრეზიდენტმა ცხადია, ეს ჟესტი კარგად შედგენილი თბილი მიმართვითაც შეალამაზა.

„ჩვენ მადლიერებით ვივსებით შენდამი იმის გამო, რაც ჩვენი ქვეყნის ხალხების სულისკვეთების ასამაღლებლად გააკეთე, ზიმბაბვეს ქალიშვილო! ჩვენ ვამაყობთ შენით და ყოველივე კარგს გისურვებთ. ხალხო, ეს ჩვენი ოქროს გოგონაა, გაუფრთხილდით მას!“

მუგაბემ არნახული გულუხვობა გამოიჩინა და სხვა ოლიმპიელებიც დაასაჩუქრა, თუმცაღა ქოვენთრის გარდა ოქრო კი არა, საერთოდ მედალიც არავის მოუპოვებია. პრეზიდენტის გულუხვობამ ხალხი დიდად გააკვირვა, რადგან ქვეყანა ძალიან ღარიბია და ქოვენთრისთვის მიცემული ასი ათასი და აგრეთვე სხვა ოლიმპიელებისთვის დარიგებული ათასები (ორიდან ათი ათასამდე თითო სპორტსმენზე) მძიმედ დააწვება ზიმბაბვეს ისედაც სუსტ ფინანსურ ხერხემალს.

ირაკლი ფირაზვილი

იუინგი ნიუ იორკში ბრუნდება

ოლონდ არა დიდი პატრიკ იუინგი, არამედ მისი შვილი — პატრიკ იუინგ-უმცროსი. „ნიუ იორკ ნიქსის“ ყველა დროის უდიდეს მოთამაშედ აღიარებულმა ლეგენდარულმა ცენტრმა კალათბურთს თავი 2002 წელს დაანება და ზურგსუკან დატოვა 17-წლიანი კარიერა, საიდანაც 15 წელი „ნიქსს“ შესწირა. 23 წლის შემდეგ კი ნბა-ში თავის კარიერას სწორედ ამ გუნდში დაიწყებს მისი შვილიც.

პატრიკ იუინგ-უმცროსს მამამისივით ბრწყინვალე მომავალს არავინ უწინასწარმეტყველებს და არავინ მოსთხოვს მოხსნებში და ქულებში „ნიქსის“ ყველა დროის რეკორდების დამხობას, რომლებიც მის მშობელს ეკუთვნის. დიდი პატრიკი ნბა-ში მისვლამდე იყო სუპერვარსკვლავი და 1985 წლის დრაფტზე პირველი ნომერი გახლდათ. პატარა პატრიკი (პატარა ასაკით, გაბარიტებით და გაქანებით) კი წლევანდელი დრაფტის მეორე წრეში 43-ე ნომრად აიყვანა „საკრამენტომ“, მერე „ჰიუსტონში“ გაცვლილ რონ არტესტს ხურდაში გააყოლა და უმცროსმა პატრიკმა აგერ უკვე მეორე გუნდიც გამოიცვალა ჯერ კიდევ ნბა-ში თამაშის დაწყებამდე. „ჰიუსტონმა“ „ნიუ იორკს“ ის დაუთმო ფრანგ ცენტრ ფედერიკ ვეისის მაგივრად, რომელიც 1999 წელს აირჩია დრაფტზე, მაგრამ დღემდე არ გამოუძახებია საფრანგეთიდან.

უმცროსი პატრიკი იმითაც კმაყოფილი იქნება, ახალი გუნდის სათადარიგოებში რომ დაიმკვიდროს მყარი ადგილი და რამდენიმე წელი სტაბილურად თამაში მოახერხოს. ლეგენდის მემკვიდრე მაინც კარგ ხასიათზე ჩანს, ამბობს — მადლობელი ვარ ამ გუნდის, რომელმაც მამის კვალზე გავლის შანსი მიბოძაო.

ამჟამად „ორლანდოს“ სამწვრთნელო შტაბში მომუშავე დიდი იუინგიც მოკლე კომენტარით შემოიფარგლა — „ვამაყობ მისით და ვუსურვებ ნაყოფიერ კარიერას იმ გუნდში, სადაც მე ამდენი წელი გავატარე.“

საინტერესო ახალწვეული ჰყავს „მემფის გრიზლიზსაც“ — ამ გუნდმა უდრაფტოდ აიყვანა ირანელი ცენტრი ჰამედ ჰადადი, რომელმაც პეკინში ულიდერა ოლიმპიადაზე პირველად გასულ ირანის ნაკრებს. 23 წლის 218-სანტიმეტრიანი ახმახი ირანელი პეკინში საშუალოდ 16,6 ქულას, 11,2 მოხსნასა და 2,6 დაფარებას აკეთებდა, თუმც ამ შთამბეჭდავი სტატისტიკითაც ვერ უშველა თავის გუნდს, რომელმაც ჯგუფში ხუთივე თამაში პირწმინდად წააგო. ამერიკაში ირანელს ასეთი ოდენობით ქულა-მოხსნებს არავინ დააგროვებინებს. ჰადადი კმაყოფილი უნდა იყოს 5-6 ქულის, 3-4 მოხსნის და თუნდაც 0,5 დაფარების გროვების უფლება რომ მისცენ.

ირაკლი ფირაზვილი





პატრიკ იუინგი-უმცროსი და პატრიკ იუინგი-უფროსი

ახალი ზელანდიაც ლოებისაა

კლასიკური რალის ფრანგმა მბრძანებელმა სებასტიენ ლოებმა თავის განუყრელ პარტნიორ დანიელ ელენასთან ერთად ზედიზედ მესამე, წლეულს მერვე, კარიერაში კი 44-ე გამარჯვება მოიპოვა და ამით მორიგი, თანაც უზარმაზარი ნაბიჯი გადადგა მიჯრით მეხუთე საჩემპიონო ტიტულისკენ.

წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის მე-11 ეტაპს ახალი ზელანდია მასპინძლობდა და ახლა, მორიგი ტრიუმფის შემდეგ ლოები გენერალურ კლასიფიკაციაში უკვე 8 ქულას უგებს მეორე ადგილზე მყოფ ფინელ მიკო ჰირვონენს და სეზონის ფინიშამდე კი ოთხი ეტაპიღა დარჩა — ესპანური, ფრანგული (კორსიკაზე), იაპონური და ბრიტანული.

ლოებს ახალ ზელანდიაში აქამდე მხოლოდ ერთხელ, 2005 წელს ემარჯვა. საერთოდ კი, ახალზელანდიური ეტაპი მსოფლიოს ჩემპიონატების კალენდარში 1969 წელს გამოჩნდა. ის, პირველი, თითქმის 40 წლის წინ გამართული რბოლა გრეიდ ტომპსონმა მოიგო. გასული საუკუნის 70-იან წლებში ახალ ზელანდიაში ორ-ორი გამარჯვება მოიპოვეს ენდრიუ კოენმა და ჰანუ მიკოლამ. 1980, 1985 წლებში იქ ასევე ორჯერ იმარჯვა ტიმო სალონენმა. 90-იანი წლების დასაწყისში კი, უფრო ზუსტნი რომ ვიყოთ 1990-92 წლებში, ახალ ზელანდიაში ზედიზედ სამჯერ დიადი ესპანელი კარლოს საინსი იყო საუკეთესო და 1998 წელს „მატადორმა" მეოთხე ახალზელანდიური ტრიუმფიც გადაიხადა. 1993-95 წლებში. ასევე მიჯრით სამი გამარჯვება შოტლანდიელმა კოლინ მაკრეიმაც მოიპოვა და შემდეგ კი მარკუს გრონჰოლმის ეპოქა დაიწყო — ფინელმა ახალ ზელანდიაში ხუთჯერ, 2000, 2002-03, 2006-07 წლებში იპირველა.

გრონჰოლმი შარშანდელი სეზონის ბოლოს დაემშვიდობა აქტიურ სპორტს და მოქმედი მრბოლებიდან მხოლოდ ორნი დარჩნენ ისეთნი, ახალზელანდიური ეტაპი რომ მოეგოთ — ლოებამდე ერთი წლით ადრე, ანუ 2004 წელს იქ ნორვეგიელი პეტერ სოლბერგი იყო საუკეთესო.

პეტერ სოლბერგი თავისი „სუბარუთი" ამჯერად მეოთხე ადგილით დაკმაყოფილდა, მისი ძმა, ჰენინგ სოლბერგი ოდენ მეცხრე იყო, არადა, ამ უკანასკნელმა თვრამეტიდან შვიდი სპეცმონაკვეთი მოიგო, მაგრამ რბოლის პირველივე დღეს დაშვებულმა შეცდომამ უფრო მაღლა ასვლის საშუალება არ მისცა.

პირველი დღის შემდეგ ჰირვონენი ლიდერობდა თავის „ფორდ ფოკუსით" და საკმაოდ კომფორტულადაც — 17 წამს უგებდა ლოებს, მაგრამ შემდეგ ფრანგმა მაესტრომ მიყოლებით სამი დოპი მოიგო, რასაც ერთი ამდენი მოგვიანებითაც დაამატა. თანაც ჰირვონენმა რამდენიმე შეცდომა დაუშვა და საბოლოო ჯამში ისე გამოვიდა, რომ ახალზელანდიური ეტაპიც ლოების საკუთრება გახდა, ხოლო ჰირვონენი მესამე ადგილზე დაქვეითდა, მათ შორის კი ფრანგის ესპანელი თანაგუნდელი დანიელ სორდო მოთავსდა.

აღსანიშნავია ესტონელი ურმო აავას მორიგი წარმატებული რბოლა — ის მეხუთე იყო ფინიშთან და გენერალურ კლასიფიკაციაში ბელგიელ ფრანსუა დიუვალს მე-10 ადგილზე ჩაეზიარა. კვლავ წარუმატებლად ირბოლა და უქულოდ დარჩა ჰირვონენის თანაგუნდელ-თანამემამულე იარი-მატი ლატვალა. შედეგად, „ფორდის" საქარხნო გუნდი კონსტრუქტორთა თასზე უკვე 20 ქულით ჩამორჩება „სიტროენს" და ძნელი სავარაუდოა, დარჩენილ ოთხი ეტაპზე რამე შეიცვალოს.

კახა ლომაძე

სებასტიენ ლოების „სიტროენი" ახალ ზელანდიაში დაფრინავდა

WRC WORLD RALLY CHAMPIONSHIP — მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში
XI ეტაპი. ახალი ზელანდია. პემილტონი. 28-31 აგვისტო

რბოლის შედეგები

1. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, „სიტროენი") —— 3 სთ 59 წთ 18,9 წმ
2. დანიელ სორდო (ესპანეთი, „სიტროენი") —————— +17,5 წმ
3. მიკო ჰირვონენი (ფინეთი, „ფორდი") —————————— +41,5
4. პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, „სუბარუ") —————— +2.48,9
5. ურმო აავა (ესტონეთი, „სიტროენი") ——————————+3.30,7
6. ჰერ-გუნარ ანდერსონი (შვედეთი, „სუძუკი") —————— +7.37,4
7. ტონი გარდემაისტერი (ფინეთი, „სუძუკი") ——————+7.54,9
8. ფედერიკო ვილაგრა (არგენტინა, „ფორდ -მუნჩი") ———+8,35,0

საერთო ჩათვლა

1. ლოები 86 ქულა; 2. ჰირვონენი 78; 3. სორდო 51; 4. კრის ატკინსონი (ავსტრალია, „სუბარუ") 40; 5. იარი-მატი ლატვალა (ფინეთი, „ფორდი") 34; 6. 3. სოლბერგი 32; 7. ჰენინგ სოლბერგი (ნორვეგია, „ფორდ-მუნჩი") 22; 8. ჯიჯი გალი (იტალია, „ფორდ-სტობარტი") 17; 9. მეტიუ უილსონი (ბრიტანეთი, „ფორდ-სტობარტი") 12; 10. ფრანსუა დიუვალი (ბელგია, „ფორდ სტობარტი") 11

კონსტრუქტორთა თასი

1. სიტროენი 141 ქულა; 2. ფორდი 121; 3. სუბარუ 74; 4. ფორდ-სტობარტი 51; 5. ფორდ-მუნჩი 22; 6. სუძუკი 20

ჟველი ბოსი: დოქტორი როსი

ვალენტინო როსი თითქმის მსოფლიოს ჩემპიონია, ან, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ცოტაც და „დოქტორი" ისევ მსოფლიოს ჩემპიონი იქნება, უკვე მერვედ და აქედან მეექვსედ „სამეფო", მოტოჯიპის კლასში.

შარშან და შარშანწინ როსი უტიტულოდ დარჩა, მაგრამ წლეულს ის შეუდარებელია და ახლა, როდესაც ჩემპიონატის ფინიშამდე ხუთი ეტაპიღაა დარჩენილი, იტალიელი ასი მთელი 75 ქულით უსწრებს მეორე ადგილზე მყოფ ჯერაც მოქმედ ჩემპიონს, ავსტრალიელ კეისი სტოუნერს.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ წლევანდელ საჩემპიონო ბრძოლაში გადამწყვეტი მე-11, ამერიკული ეტაპი იყო. მანამდე, ზედიზედ სამი ეტაპის მოგებით სტოუნერმა როსისთან ჩამორჩენა 20 ქულამდე დაიყვანა და ამერიკული შეჯიბრი პოულ-პოზიციიდან დაიწყო, მაგრამ დრამატულ ბრძოლაში დამარცხდა და როგორც ჩანს, ხასიათი წაუხდა — შემდეგ, ჩეხეთშიც და ახლა სან მარინოშიც, სტოუნერი კვალავაც საუეთესო იყო კვალიფიკაციაზე, მაგრამ რბოლის დასრულება ვერც ორი კვირის წინ შეძლო და ვერც ახლა. როსიმ კი ამერიკულს ჩეხური და სან მარინოს დიდი პრიზებიც დაამატა და უზარმაზარი სხვაობით გაუსწრო კონკურენტებს.

როსის ჩემპიონობას წყალი არ გაუვა და სხვა რამე ვთქვათ — სან მარინოში გამარჯვება „დოქტორისთვის" ზედიზედ მესამე, წლეულს კი მეექვსე იყო და სულ, „სამეფო კლასში", მის ანგარიშზე უკვე 68 მოგებული ეტაპია და ამ მაჩვენებლით ვალენტინო თავის ლეგენდარულ თანამემამულეს ჯაკომო აგოსტინის გაუთანაბრდა.

საკმაოდ ხანგრძლივი წარუმატებლობის შემდეგ სან მარინოში თვალში გამოიხედეს ესპანელებმა ხორხე ლორენცომ და დანიელ პედროსამ, რომლებმაც, შესაბამისად, მეორე და მეოთხე ადგილები დაიკავეს და მათ შორის კი კიდევ ერთი ესპანელი ანტონიო ელიასი მოთავსდა.

„საშუალო", 250-იანთა კლასში საუკეთესო, ასევე ესპანელი ალვარო ბაუტისტა იყო, რომელმაც ამ გამარჯვებით გენერალურ კლასიფიკაციაში მესამე ადგილი გაიმყარა და მეორეზე მყოფ ფინელ მიკა კალიოს ერთი ქულის მანძილზე მიუახლოვდა. თავში კი კვლავაც იტალიელი მარკო სიმონჩელია, ვინც სან მარინოში მეექვსე იყო.

კახა ლომაძე


ვალენტინო როსიმ მეტოქეებს ზურგი აჩვენა

მსოფლიოს ჩემპიონატი საგზატკეცილო-წრიულ მოტორბოლაში
XIII ეტაპი. სან მარინოს დიდი პრიზი. 31 აგვისტო

მოტო GP (28 წრე)

1. ვალენტინო როსი (იტალია, „იამაჰა") 44 წთ 41, 884 წმ
2. ხორხე ლორენცო (ესპანეთი, „იამაჰა") 44.45,047
3. ანტონიო ელიასი (ესპანეთი, „დუკატი") 44.53,589
4. დანიელ პედროსა (ესპანეთი, „ჰონდა") 44.59,354
5. კრის ვერმიულენი (ავსტრალია, „სუძუკი") 45.05,293

საერთო ჩათვლა: 1. როსი 262 ქულა; 2 კეისი სტოუნერი (ავსტრალია, „დუკატი") 187; 3. პედროსა 185; 4. ლორენცო 140; 5. ანდრეა დოვიციოზი (იტალია, „ჰონდა") 118

250 კბ/სმ (26 წრე)

1. ალვარო ბაუტისტა (ესპანეთი, „აპრილია") 43 წთ 15,831 წმ
2. იუკი ტაკაჰაში (იაპონია, „ჰონდა") 43.17,919
3. ექტორ ბარბერა (ესპანეთი, „აპრილია") 43.19,583
4. რობერტო ლოკატელი (იტალია, „გილერა") 43.26,203
5. ხულიან სიმონი (ესპანეთი, KTM) 43.26,693

საერთო ჩათვლა: 1. მარკო სიმონჩელი (იტალია, გილერა") 190 ქულა; 2. მიკა კალიო (ფინეთი, KTM) 164; 3. ბაუტისტა 163; 4. ბარბერა 142; 5. ალექს დებონი (ესპანეთი, „აპრილია") 139

125 კბ/სმ (23 წრე)

1. გაბორ ტალმაში (უნგრეთი, „აპრილია") 20 წთ 03,679 წმ
2. ბრედლი სმითი (ბრიტანეთი, „აპრილია") 40.09,081
3. სიმონე კორსი (იტალია, „აპრილია") 40.18, 067
4. მარკ მარკესი (ესპანეთი KTM) 40.20,737
5. ნიკოლას ტეროლი (ესპანეთი, „აპრილია") 40. 21,000

საერთო ჩათვლა: მიშელ დი მელიო (საფრანგეთი, „დერბი") 186 ქულა; 2. კორსი 158; 3. ტალმაში 147; 4. შტეფან ბრედლი (გერმანია, „აპრილია") 126; 5. სმითი 121



სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ყორყოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ვლადიმერ ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, ირაკლი პერტაია, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00